სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

კროლევსკარები შეკლა კვეკისა. ფეერთრ

ხუთშაბათი 11 ივლისი 1918 წ.

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი **ცალკე ნომერი უველგან 40 კაპ.** განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფულის შეცვლის ადგილის შესახებ უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, Головинскій пр. № 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 143 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 143

ქართველი საგანგებო ბათალიონის ოფიცრები და ჯარისკაცები ულრმესი მწუხარებით აცხადებენ, რომ ს. ხოსტაში (სოხუმის ოლქი) ჩვენი ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში 5 ივლისს გმირულათ დაიღუპენ სანშობლოს და რევოლუციისთვის თავდადებულნი:

პორუჩიკი **ვლადიმერი ფირცხალავა,** პრაპორშჩიკი **პონსტანტინე მასხულია,** ჯარისკაცები: **ანტონი ცაგიძე, გრიგოლ კუხალეიშვილი, ვარლამი გამყრელიძე, ლევან ჯალაღანია, ნესტორი მიმინაშვილი, პალისტრატე პორძახია, გესარიონი გაგნიძე.**

პანაშვიდი ხუთშაბათს 11 ივლისს დილის 11 საათზე ბათალიონის ბინაზე, გუდოვიჩის ქუჩა № 21. (2—2)

გულ დათუთქული მშობლები: ქრისტინე და პახვილ, ძმები: ელიზბარ და ტარასი მახსულიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 5 ივლის ს. ხოსტაში (სოხუმის ოლქი) რევოლიუციონურ მოვალეობის ასრულების დროს ბალშევიკებთან ბრძოლაში გმირულად და ღუპა პრაპორშჩიკი

პონსტანტინე (კუკუ) პახველის ძე მასხულია

რომელიც მსახურებდა თფილისის საგანგებო ბათალიონში. მიცვალებულის ცხედარს ჩამოასვენებენ აბაშაში (სამეგრელო), დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 11 ივლისს, ნაშვადღევის 3 ს. ს. აბაშაში. (2—2)

გულდათუთქული დედა სონა გრიგოლის ასული, უზომოთ დამწუხრებული ბიძები: ისაია და ვანო ვაშაძეები, ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 10 აპრილს სოფ. ვაშნარში ოსმალებთან ბრძოლაში მოჰკლეს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი პრაპორშჩიკი

ვალიკო ვაშაძე

მიცვალებული მოასვენეს გურიიდან ჭიათურაში 5 ივლისს. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება მოხდება კვირას, 14 ივლისს ქ. ჭიათურაში საკუთარი სახლიდან ნაშუადღევის 5 საათზე. მისასპატიე ბელი ბარათები არავის გაეგზავნება. (2—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ივანე ნიკოლოზის ძე ანთელიძე, შვილები: ეკატერინე და ელისე, შვილისშვილი ოლია ანთელიძე და გაზრდილი გიორგი ნაკაშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

პესა ნიკოლოზის ასულის ანთელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ს. მაკვანეთში მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში ხუთშაბათს 11 ივლისს ნაშუადღევს 4 საათზე (1—1)

მწუხარებით გულმოკლული მშობლები: მამა დეკანოზი არსენ თოხაძე და დედა მარია დიმიტრის ასული შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 11 ივლისს დილის 9 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარის შვილის

ეკატერინე არსენ ს ასულის თოხაძის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

ამ მოკლე ხანში **საზღვარ გარეთ მიემგზავრებიან** მრეწველობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს, რომ ვისაც სურს რისამე დავალება სხვადასხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვადასხვა საქონლის სყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე მოსალაპარაკებლად ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით).

მისამართი: ქ. თფილისი, ფრეილინის ქ. № 11.

ტელეფონი 9—18. (2—1)

ქ. სამტრედიაში ამა წლის 14 ივლის, დილის 10 საათ. ადგილობრივ რკინის გზის საკრებულოს დარბაზში დანიშნულია პირველი რაიონის პარტიულ ორგანიზაციის

წევრთა კრება

(განმეორებითი). განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) ორგანიზაციის მდგომარეობა ბათუმის დაცემის შემდეგ; 2) ბათუმის წითელ გვარდიელთა ორგანიზაცია; 3) ორგანიზაციის მომავალი მუშაობა; 4) მიმდინარე საკითხები.

წინაიდან კრებაზე გაირჩევა მეტათ საყურადღებო საკითხები, ამისთვის პარტიის წევრთ ევალებათ აუცილებლათ დასწრება.

რ. ს. დ. პ. ბათუმის ორგანიზაციის 1 რაიონის კოლექტივი.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თანახმად ამ წლის 17 ივნისის თათბირის დადგენილებისა ცხენებზედ გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ გადიდებულია 1918 წ. პირველ იანვრიდან—პირველი რიგის ცხენებზე 100 მან. მეორე რიგისა 80 მან. და სამე რიგისა 50 მან, ხოლო ავტომობილების გადასახადი დანიშნულია 100 მან. თვითეულ ცხენის ძალაზე. ვაცნობებთ რა ახ. ავტომობილების და ცხენების პატრონთ, თფილისის ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შემოიტანონ 1918 წლის კუთვნილი დამატებითი გადასახადები ქალაქის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადასახადები დანიშნულ ვადაზე არ იქმნა შემოტანილი, გამგეობა მკაცრ ზომებს მიიღებს. (3—2)

„განათლების" საზ. საგანგებო კრება

დანიშნულია ხუთშაბათს, 11 ივლისს, სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა) საღამოს 7 საათზე. მეტად საყურადღებო საკითხია გასარჩევი. წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ. (1—1)

სასურსათო სამინისტროს პოლიტიკა

სასურსათო სამინისტროს დაარსება განსაკუთრებულმა პირობებმა გამოიწვია. ამ სამინისტროს დანიშნულება იყო მცხოვრებთა უზრუნველყოფა სურსათის მხრით.

ჩვენს ქვეყანაში არც პური მოყავდათ და არც საქარხნო ნაწარმოები მზადდებოდა. ამიტომ აქ სასურსათო ორგანიზაციებმა იმ თავიდანვე მიზნათ დაისახეს სურსათის მხოლოდ განაწილება. და სიმართლე უნდა ვთქვათ, სანამ რუსეთი არ დაინგრა და იქიდან სურსათი მოდიოდა, ჩვენი სასურსათო სამინისტროც პირნათლათ ასრულებდა ნაკისრ მოვალეობას, ე. ი. სურსათის განაწილების საქმეს.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საერთოდ რუსეთთან და კერძო ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირი გაწყვიტეთ და წესიერი მისვლა-მოსვლა შეჩერდა, სასურსათო სამინისტრომაც დაჰკარგა გამანაწილებელი ორგანიზაციის მნიშვნელობა. საჭირო გახდა სურსათის შეძენა. მთავარი მნიშვნელობა სურსათის საქმეში პურს აქვს, ამიტომ სასურსათო სამინისტროს მიზანი უნდა იყოს პურის შეძენა.

როგორ შეიძლება ეს?

იდეალათ ითვლება პურის მონოპოლია, რომელიც გერმანიამ უკვე გაატარა თავის სახელმწიფო საზღვრებში. მთელი პური სახელმწიფოს კუთვნილებათ არის გამოცხადებული და დაწესებულია მტკიცე ფასები.

ჩვენც წავბაძეთ გერმანიას, შემოვიღეთ მტკიცე ფასები და პურის ჩამორთმევას შევუდექით, მაგრამ პრაქტიკულათ ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიეთ: რაც მოახერხა გერმანიამ, ის ვერ მოვახერხეთ ჩვენ. რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენში უმთავრესათ წვრილი მეურნეობა არსებობს, განსაკუთრებით რევოლიუციის შემდეგ, როცა მიწები ფაქტიურათ უკვე დანაწილებულია. წვრილ მესაკუთრეებზე არც გერმანია ამყარებს პურის მონოპოლიის საქმეს, იქ ართმევენ მხვნელ მემამულეებს, თუმცა გერმანიას საკმაოთ ძლიერი და მოქნილი პოლიტიკური აპარატი მოეპოება და განა შეგვიძლია ჩვენ, როცა საქმე გვაქვს წვრილ და საშუალო გლეხობასთან, პურის მონოპოლია გავატაროთ და ეს მაშინ, როცა ჩვენ არა გვაქვს სოფლათ მოწესრიგებული მთავრობის აპარატი. ცხადია, არა. და ვინც ასეთი ოცნებით იკვებება, ის დიდათ ცდება.

გრძნობს თუ არა ამას სასურსათო სამინისტრო? საუბედუროთ, არა. ამით აიხსნება ის ზომები, რომელსაც სასურსათო სამინისტრო მიმართავს. და რადგან მას არ შეუძლია პურის მონოპოლია განახორციელოს, ის იწყებს იქიდან, რომ კრძალავს სურსათის თავისუფალ გადატან-გადმოტანას ერთი ადგილიდან მეორეში და უკვე მოტანილის რკინის გზის სადგურებზე ჩამორთმევას. ეს ზომა დიდათ ავიწროებს გამოუცდელ მომხმარებელს, მაგრამ ვერ აშინებს გამოქნილ სპეკულიანტს. ეს უკანასკნელი ცდილობს მინისტრის განკარგულებებს გვერდი აუაროს: სურსათს ეზიდებიან ურმებით, ტივებით და სხვ. და ამ გზით მოტანილ პურს ერთი ათად აძვირებენ.

საზოგადოებას სამართლიანათ აშფოთებს ის გარემოება, რომ თფილისში სპეკულიანტები თავისუფლათ თარეშობენ, ხოლო თფილისის სადგურზე რკინის გზის მოხელენი აჩერებენ პურის პატრონთ და ხშირათ რეკვიზიციას ახდენენ. ეს ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებს მცხოვრებლებზე, როგორც წართმევა და ძარცვა-გლეჯა.

ამიტომ ჩვენ დიდი წინააღმდეგი ვართ სასურსათო სამინისტროს დღევანდელი პოლიტიკის და მოვითხოვთ თავისუფალ ვაჭრობის დაშვებას. რაკი ჩვენ არ შეგვიძლია მონოპოლიის გატარება და ბაზრის მოწესრიგება, დეე ეს იკისროს თავისუფალმა კონკურენციამ. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში უნდა მოისპოს საქონლის გადატან გადმოტანის აკრძალვა, საკმაოა აიკრძალოს ჩვენი ქვეყნიდან სხვაგან გატანა პურისა და სხვა პირველ საჭიროების საგნებისა. გარდა ამისა მთავრობამ ზომები უნდა მიიღოს საზღვარ-გარეთიდან პურის შემოსატანათ, რომ ამით საზღვარი დაუდოს ადგილობრივ პურით მოვაჭრეთა გაუსაძლრობას. მხოლოდ ამ ორი გზით შეიძლება სასურსათო კრიზისის განეღება.

ამიტომ ჩვენ საჭიროთ ვთვლით დაუყოვნებლივ შეიცვალოს სასურსათო სამინისტროს პოლიტიკა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობა იქნას დაშვებული.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ ავიშორებთ თავიდან საზოგადოების სამართლიანს უკმაყოფილებას.

ნაციონალისტების თავხედობა.

დემოკრატია ყველგან ერიდება ეროვნულ შუღლის გაღვივებას, ის ერთნაირათ ზრუნავს ყველა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მდგომარეობაზე.

დღეს დიდი გაჭირვებას განიცდის სომხის ხალხი, რომელიც ოსმალეთის ურდოებმა მშრომელ კერას მოსწყვიტა და ცის ქვეშ დასტოვა ულუკმა-პუროთ. ეს უბედური ხალხი მოეშურება ჩვენს ქვეყანაში და ქართველი დემოკრატიაც თავის ზნეობრივ მოვალეობათ თვლის ამ ხალხს ძმური ხელი გაუწოდოს და დახმარება აღმოუჩინოს.

მაგრამ ასე არ იქცევიან ისინი, ვინც თავის თავს სომხის ხალხის წინამძღოლათ თვლიან—დაშნაკელები. ამ შოვინისტურ პარტიის წინადაუხედავმა და კატასტროფულ პოლიტიკამ ხელი შეუწყო მუსულმანებისა და სომხების შორის უფსკრულის ამოთხრას. დღეს ეს პარტია თავის შოვინისტურ და მოუფიქრებელ პოლიტიკით ასეთსავე უფსკრულს თხრის ქართველებსა და სომხებს შორის.

მოვიგონოთ სომხურ ეროვნულ საბჭოს პროტესტი იმის გამო, რომ ჩვენმა მთავრობამ მოითხოვა თფილისიდან სომხის ჯარის გაყვანა.

დაშნაკელებს გადაუწყვეტიათ ისარგებლონ ლტოლვილთა მდგომარეობითაც, რათა სომხებსა და ქართველებს შორის უკმაყოფილების ფესვები გაუმაგრონ.

ამ მიზნის მისაღწევათ ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, მაგალითად ლტოლვილ სომხების, უმეტესათ გადამდებ სენით დაავათმყოფებულთ, ადგილობრივ მთავრობის დაუკითხავათ მალულად ასახლებენ ჩვენ დაბა ქალაქებში. სურამში მაგალითად ავათმყოფებს პირდაპირ მალავენ, რითაც ეპიდემიის გავრცელებას ხელს უწყობენ და მთელს კუთხეს საფრთხეში აგდებენ.

ამავე დროს სომხის შოვინისტები რუს ჩინოვნიკებთან და ბალშევიკებთან ერთად ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ კუთხეებში აჯანყების მოწყობას უმართავენ ხელს.

ჩვენ საჭიროთ ვთვლით გავაფრთხილოთ დაშნაკცუტიუნი: ნუ გამოიწვევენ ხელოვნურათ არევ-დარევას და ეროვნულ სიძულვილს. იკმარონ ის, რაც შური და მტრობა დათესეს მოსულმანებსა და სომხებს შორის.

გასაკვირველია, რათ არის საჭირო ავათმყოფების დამალვა ქალაქებში. გაინა ჩვენს დაბა სოფლებს რომ მოედვას ეპიდემია ამით სომხის ხალხს რამე შეეძინება? ან რომელ კაცთ მოყვარეობას, ან დემოკრატიზმის პრინციპი თხოულობს ასეთ პირდაპირ ბოროტ მოქმედების ჩადენას?

ჩვენ ვამბობთ, იმ გავარვარებულ ატმოსფეროში, რომელსაც ქმნის დღევანდელი ცხოვრების პირობები, მეტი სიფრთხილეა საჭირო.

ლტოლვილებს უნდა დახმარება, მარა დაშნაკცუტიუნის ღვარძლიან პოლიტიკას კი სასტიკი პროტესტი და სათანადო წინააღმდეგობა! ამას მოითხოვს თვით სომხის ხალხის ნამდვილი ინტერესი, ისე როგორც ინტერესი ჩვენი დემოკრატიის.

პრესა

„საქართველო" ქებას გვიძღვნის... „ვოზროჟდენიეც" ქათინაურებს სწერს ჩვენზე.

გაზეთი „საქართველო" მაგ. სწერს:

„სოციალ-დემოკრატიაც მხარს უჭერს ისეთ გადაჭრას მიწის საკითხისას, რომ მიწა მიეყოდოს გლეხებს სრულს კერძო საკუთრებად. ამის შესახებ მთავრობა პროექტს იმუშავებს და „ერთობა" ჭადაგებს სრულიად საღ სახელმწიფოებრივ აზრს, რომ გლეხებს მიწა უნდა მიეყიდოს".

სოციალ-დემოკრატიის ასეთი ქება საქართველოს მესვეურთაგან დიდ ეჭვებს დამიბადებდა, ვაი თუ შევცდეთ, რომ მტერი გვაქებს მეთქი, მაგრამ წერილის ბოლომდე წაკითხვამ დამარწმუნა, რომ ქების მიზანია არა სოციალ-დემოკრატია, არამედ თავად ახნაურების ინტერესები. აი ეროვნულ-დემოკრატების საწადელიც:

„ჩვენ დავიცავთ იმ პრინციპს, რომ მემამულეთაც მიეცეს სახელმწიფოსაგან შესაფერი ჯილდო ჩამორთმეულ მემამულისა".

როგორ მოგწონთ? გლეხს გადავახდევინოთ და თავადს კი მივცეთო.

აი ეს არის ეროვნულ-დემოკრატების სახელმწიფოებრივი სიბრძნე.

ჩვენ ვამბობთ, თავადებს მიწა უფასოთ უკვე ჩამოვართვით. გლეხებს ეს მიწა საკუთრებათ უნდათ შეიძინონ, ამიტომ მათ დავურიგონ და შესაფერი საფასური გამოვართვათ **სახელმწიფოს**, ე. ი. იმავე გლეხების საზინის შესავსებათ-თქო. ამით ჩვენ ორ საქმეს ვაკეთებთ: გლეხების მესაკუთრეობის სურვილს ვაკმაყოფილებთ და ამ გლეხებს სახელმწიფოსაც ვუმაგრებთ, რომ შრომა მათი უზრუნველყოფილ იქნეს არევ-დარევისაგან და უწესოებისაგან.

წერილის თავში „საქართველოც" გვეთანხმება ამაში:

„ჩვენ მთავრობას ამით (ე. ი. გლეხებზე მიწის მიყიდვით შეუძლია შეავსოს თავისი კასა და გამოიყვანოს ის უმძიმ ნაყარი ფული, რომელიც გლეხკაცს მოუგროვდა".

ეს კარგი აზრია, მაგრამ ეს ფული რომ თავადს დაეუბრუნოთ ჯილდოთ, ხაზინას რაღა დარჩება? მაშინ სოფლის ათასი საჭიროებანი ხაზინამ საიდან უნდა დააკმაყოფილოს?

ორში ერთი. ან ჩვენი მოსაზრებაა სახელმწიფოებრივი და ის უნდა გატარდეს, ან „საქართველოს" რედაქცია, რომელიც გვირჩევს ფული თავადებს დაეუბრუნოთ და თან გვპირდება, თავადები ამ ფულით ვაჭრობა აღებმიცემობას გააჩაღებენო.

არა, ბატონებო, ჩვენ ამ გზას ვერ დავადგებით. ჩვენ გვინდა აშენება სახელმწიფოსი და არა თავადების. სახელმწიფოს ბურჯი კი ხალხია და არა დრომოჭმული წოდება.

საქართველოს ეროვნული საბჭო

9 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **კარლო ჩხეიძე.** მდივანი აქვეყნებს რამოდენიმე კანონ-პროექტს კომისიებში გადასაცემად შემოსულს, რომლებიც კანონ-პროექტები გადაეცა სათანადო კომისიებს.

სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე **რ. არსენიძე** კითხულობს წინა სხდომაზე მიღებულ კანონ-პროექტების საბოლოო რედაქციას. საბჭო იღებს ყველა სარედაქციო შესწორებებს, რომელიც გაუკეთებია სარედაქციო კომისიას და გადადის მორიგ საკითხების განხილვაზე.

ი. ლორთქიფანიძე აკეთებს მოხსენებას ეროვნული საბჭოს კანცელარიის შტატების შესახებ. კამათს იწვევს მხოლოდ მოხსენების ზოგიერთი ადგილები განსაკუთრებითი **ყურადღება** მიიქცია კანონ-პროექტის იმ ადგილმა, სადაც კომისიას საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი პროექტი საბიბლიოთეკო ხარჯებისა 120,000 მან. 100,000 მ. დაუყენია. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ აღიარა საბჭოსთან ბიბლიოთეკის დაარსების აუცილებლობა და მიიღო 120,000 მანეთი. საეროდ საბჭომ მცირე შესწორებით დაამტკიცა მთელი კანონ-პროექტი. საბჭომ მიიღო აგრეთვე უკამათოდ კანონ-პროექტი ჰიათურის შავი ქვის საფუთო გადასახადის დაწესების შესახებ*).

განსახილველია კანონ-პროექტი საქართველოს სამხედრო გზაზე სპეციალური რაზმის დაარსების შესახებ. მომხსენებელია **ალ. ლომთათიძე:** ამ კანონ-პროექტის ძალით უნდა დაარსებულ იქნას საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად სპეციალური რაზმი. ასეთი რაზმის დაარსების მნიშვნელობა უფრო გადიდდა ამ უკანასკნელ დროს, როდესაც დიდ კრიზისს განიცდის ჩვენი რესპუბლიკა ერთის მხრით შინაური ანარქიისა და მეორე მხრით გარეშე ძალთაგან და სურსათის ნაკლებობის გამო. განსაკუთრებული დაცვას მოითხოვს საქართველოს სამხედრო გზა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჭიროდ დაინახა ამ რაზმის სასწრაფოდ შექმნა. და შემოიტანა კანონ-პროექტი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა წაკითხულ კანონ-პროექტი გადასცა შემდეგ სამ კომისიას: ფინანსიურ, სამხედრო და ადგილობრივ მართვა-გამგეობა თვითმართველობის კომისიებს. გაიმართა სამივე კომისიის შეერთებული სხდომა. ორი კომისიის აზრი პრინციპიალურად ეთანხმებოდა ერთი-მეორეს სპეციალური რაზმის დაარსების საკითხში. ფინანსიურმა კომისიამ ვერ მოასწრო კანონ-პროექტის განხილვა; პრინციპიალურად ფინანსიური კომისიის წევრებმა ასეთი რაზმის დაარსების შესახებ სურვილი გამოსთქვეს. მაგრამ საჭირო იყო სიჩქარე, რადგანაც თქვენ იცით თუ რა ხდება დუშეთის მაზრაში. დღეს თუ ხვალ ამ საქმეს მთავრობის ჯარი ლიკვიდაციას გაუკეთებს. ისინი, ვინც ამ მაზრას იცავენ დღეს თუ ხვალ სახლში დაბრუნდებიან და მაზრა უჯაროთ დარჩება. ამიტომ ჩვენ ვერ დაეუცდით საფინანსო კომისიის აზრს, მით უმეტეს თითეული წევრი კანონ პროექტს მზარს უჭერდა.

შემდეგ მომხსენებელი კითხულობს კანონ-პროექტს მუხლობრივ. 1 მუხლი ამბობს, რომ საქართველოს ნამხედრო გზაზე წესრიგის დასაცავად სპეციალური რაზმი. **დროებით** სამი თვით, შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტის მიხედვით ეს კანონ-პროექტი ძალაში უნდა შესულიყო 15 ივნისიდან, მაგრამ კომისიამ მიიღო რა ცხედველობაში ის, გარემოება, რომ აწი ცოტა დრო რჩება (ორი თვე) და ამ ხნის განმავლობაში მთავრობა ვერ შესძლებდა ნამდვილი ჯარის შექმნას, დაადგინონ კანონ-პროექტი შევიდეს ძალაში დღიდან მისი დამტკიცებისა ეროვნული საბჭოს მიერ. ამ სპეციალურ რაზმს ეყოლება ერთი უფროსი და ორი მისი თანაშემწე, მასთან ეყოლება 15 უფროსი და 350 დარაჯი. რაზმის უფროსს ექნება 600 მან.: მის თანაშემწეებს 500—500 მ. უფროსს დარაჯებს სამას სამასი მანეთი და უმცროსს დარაჯებს 250 მანეთი. რაზმელებს მიეცემათ სახელმწიფო ხარჯზე სასმელ საჭმელი ბინა განათება. აგრეთვე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მიეცემათ საინტენდანტო ფასებში.

რაზმში უნდა იქნან კარგად გაწვრთნილი ხალხი, ახლა აფიცრობის დიდი უმრავლესობა დათხოვნილ იქნება სამსახურიდან. შეიძლება საიმედო აფიცრების მიღება რაზმში. კანონ-პროექტის მეორე მუხლში გარკვევით ნათქვამია, რომ რაზმი სამხედრო სამსახურისაგან არავის გაათავისუფლებს.

კანონ-პროექტი საბჭომ მიიღო მუხლობრივ განხილვის შემდეგ. კანონ-პროექტის ძალით შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში უნდა გადადებულ იქნას ამ რაზმის საქმის მოსაწესრიგებლად 284, 550 მ. რაზმის შეიარაღება უნდა იკისროს სამხედრო სამინისტრომ.

საბჭოს მდივანი კითხულობს გ. ვეშაპელის შეკითხვას მთავრობისადმი სახელმწიფო დაწესებულების ნაციონალიზაციის შესახებ. ვეშაპელი თავის შეკითხვაში ეყრდნობა კავშირთა კავშირის დადგენილებას, რომლითაც მოხელეები მოითხოვენ ულტიმატუმის სახით პირველ ავგისტოდან მაინც გატარებულ იქნას ნაციონალიზაციაო, წინააღმდეგ შემხვევაში კავშირთა კავშირი თვითონ მიიღებს შესაფერ ზომებსო. **გრ. ვეშაპელი** თავის სიტყვაში იცავს შეკითხვას და ამბობს, რომ ამ ჟამად ხდება რეორგანიზაცია იმ დაწესებულების, რომელნიც ემსახურებოდენ ამიერ-კავკასიის ინტერესებს, საჭიროა სანამ რეორგანიზაციას მოვახდენდეთ, იმ დაწესებულებებში ნაციონალიზაცია გავატაროთო.

ნოე რამიშვილი: მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მომქმედ პარტიას ამოქმედებს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები, ამიტომ ყოველ შეკითხვას

*) ყველა მნიშვნელოვანი კანონ-პროექტები სარედაქციო შესწორების შემდეგ ცალკე დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

უნდა ქონდეს ასეთი ხასიათი. ვეშაპელი კი თავის შეკითხვაში ეყრდნობა იმ დადგენილებას, რომელიც აქ კავშირთა კავშირის მიერ არის წარმოდგენილი, და რომელიც სრულებით უკანონოა. ჩვენ თვის გასაგები იქნებოდა ასეთი შეკითხვა. რა ზომებს ღებულობს მთავრობა კავშირთა კავშირის ასეთი უკანონო დადგენილების წინააღმდეგ. (ხმები: მართალია). ვინც იწონებს ამ დადგენილებას, ის სახელმწიფოს წინაშე დანაშაულს ჩადის. მთავრობა არასოდეს არ მოითმენს რომელიმე ორგანიზაციის მიერ მის საქმეში ჩარევას. მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე, არავითარ ანგარიშს არ გაუწევს იმ ორგანიზაციას, რომელიც უნდა ეწორჩილებოდეს ყოველივე მის ბრძანებას. მთავრობა ყოველივე ღონეს ხმარობს ნაციონალიზაციის ცხოვრებაში გასატარებლად და შეძლების და გვარად კიდევაც ატარებს, მაგრამ მრავალი დაბრკოლებები ელობება წინ. ყველა მინისტრები, თუ საშუალებას მისცემთ გაგიცხადებენ აქ იმ დაბრკოლებებს, რომელიც მათ ხვედრათ ნაციონალიზაციის გატარების საქმეში. უმთავრესი დაბრკოლება ეს საქმის მცოდნე, მომზადებულ პირთა ნაკლებობაა. ნაციონალიზაცია ტარდება რკინის გზაზე, ფოსტა ტელეგრაფში იმ ენაზე, რამდენათაც ეს შესაძლებელია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნაციონალიზაცია უნდა გატარდეს თანდათანობით იმ, რომ არ გავამწვავოთ სხვა ერებთან დამოკიდებულება.

გრ. ვეშაპელი. მე მივაქცევ ყურადღებას განცხადების იმ ნაწილს, რომელშიდაც ნათქვამია, რომ მთავრობა უყურადღებოთ დატოვებს კავშირთა კავშირის ულტიმატუმურ ხასიათის მოთხოვნას და ანგარიშს არ გაუწევს ასეთი ორგანიზაციების მოთხოვნას. ეს ყველაზე უფრო ნაციონალ-დემოკრატებს უნდა უხაროდეს, მაგრამ სახელმწიფო ამშენებლობის დროს აუცილებელათ უნდა მიექცეს ყურადღება კავშირთა კავშირის დადგენილებას.

შ. მესხიშვილი. იუსტიციის მინისტრი, უპასუხებს შემკითხველს და ამბობს, რომ მე ძლიერ მოწადინებული ვარ ჩემს უწყებაში ნაციონალიზაცია რაც შეიძლება დაჩქარებით და ფართეთ გავატარო, მაგრამ თუ ვინმემ მოინდომა ჩემს გარეშე ამ საქმეში ჩარევა, მე ყოველგვარ ზომებს ვიხმარ მის წინააღმდეგ. ამით მე ხელი არ მინდა ვკრა იმ ორგანიზაციებს, მაგრამ მათი დადგენილება უკანონო არი ჩემის ღრმა რწმენით დადაწესებულებების რეორგანიზაცია წინ უნდა უსწრობდეს მათი ნაციონალიზაციას. ბ. ვეშაპელი არ იცნობს პრაკტიკულად სახელმწიფოებრივ პირობებს და იმიტომაა შეცდომაში შედის. ჩვენ გვაკლია მცოდნე პირები, მე ვერ ვიშოვე იურისტები სამოსამართლო პალატის რეორგანიზაციის დროს. ჩვენ სამწუხაროდ მოგვიხდება ისეთი პირების მიღება ჩვენს დაწესებულებებში, რომლებმაც ქართული სრულებით არ იციან, თუ ჩვენ ხელი ვკარით არა ქართველებს, არა საქმის მცოდნე პირთ, მაშინ სახელმწიფოს დიდს ზიანს მოუტანთ.

ს. მდივანი. (ს.-ფ.) ამბობს, რომ სურვილი ერთია და მისი განხორციელება მეორე. ნაციონალიზაციაზე საქართველოს რესპუბლიკაში ლაპარაკიც მეტია. ამაზე მსჯელობა შეიწლებოდა მაშინ, როცა საქართველო არ იყო დამოუკიდებელი ერთეული. ეხლა რასაკვირველია ნაციონალიზაცია მოხდება, მაგრამ ერთბაშათ შეუძლებელია მისი განხორციელება. მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ თფილისის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ დაედგინა ისე, როგორც მოხელეთა კავშირი მოიქცა, ნაციონალ-დემოკრატები მაშინ ამას არ დაეყრდნობოდენ. საბჭომ მიიღო ს. დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი ასეთი ფორმულა: საბჭომ მოისმინა რა ვეშაპელის ნაციონალიზაციის შესახებ მთავრობისადმი შეკითხვა და მთავრობის პასუხი, კმაყოფილდება ამ პასუხით და გადადის მორიგ საკითხზე. მდივანი აქვეყნებს შ. ქარუმიძის შეკითხვას. საბჭომ დაადგინა შეკითხვაზე მსჯელობა იქონიოს შემდეგ სხდომაზე.

აკ. ხ—უა.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

10 ივლისი.

მოსკოვი 9 ივლისი. ყველას, ყველას, ყველა!... (გაგრძელება; დასაწყისი არ მოსულა). ...ჩაბარეთ იარაღი. როცა მე მივმართე გარშემორტყმულ მატროსებს და ვუთხარი, რომ მისცემენ თუ არა ისინი ვიღაც ვაჟბატონს ნებას, რომ მე, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს, რომლის რაზმშიაც ისინი ითვლებიან იარაღი ამყაროს. მატროსები შეჩერდენ. ამ დროს მეზობელ ოთახიდან საბლინმა მოიყვანა 60 მატროსი და მათი დახმარებით მე ხელები დამიჭირეს და იარაღი ამყარეს. იარაღის აყრის შემდეგ ჩერეპანოვმა და საბლინმა აღტაცებით სთვეს: „თქვენ მომხდარი ფაქტის წინაშე დგეხართ. პრესტის ხელშეკრულობა დარღვეულია. ომი გერმანიასთან აუცილებელია. ჩვენ მთავრობა არ გვსურს. დეე ისეთი მდგომარეობა შეიქმნეს აქ, როგორიც უკრაინაშია, ჩვენ იატაკს ქვეშ ჩავალთ სამუშაოთ. თქვენ შეგიძლიათ მთავრობაში დარჩენა, მაგრამ მირბახის წინაშე ლაქიობას უნდა დაანებოთ თავი. დეე გერმანიამ დაიკავოს რუსეთი მდ. ვოლგამდე. მურავიოვი ჩვენდა დასახმარებლათ მოდის მოსკოვში; ლატიშთა პირველი მსროლელი პოლკი ჩვენსკენაა, მათი დელეგატები უკვე იყვენ ჩვენთან. ჩვენთან არიან პოკროვის აზარმები, მასთან ერთად ვენგლისკის მთელი რაზმი, ავიაციური ნაწილები, აი მივიდენ ვორონეჟიდან აზაზთა დელეგატები 2 ათასი კაცის გამოგზავნილი, ზამოსკვორეჩიე—ყველანი ჩვენს მხარეზეა. მოსკოვის ყველა მუშები და წითელ-გვარდიელები ჩვენ მოგვყვებიან". როცა მე მივუთითე, რომ ისინი ასრულებენ ინგლისის და საფრანგეთის ბანკირთა გეგმებს, გამოდიან რევოლიუციის გამყიდველთა და მოღალატეთა როლში, მაშინ მეორე ოთახიდან გამოვიდა სპირიდონოვას ქალი და რომ მატროსებს შერჩენოდათ შეჭმნილი, სულიერი განწყობილება, მიმართა მათ სიტყვით, რომ ბალშევიკები რევოლიუციის მოღალატენი არიან, ვინაიდან ისინი მირბახის წინაშე ლაქიობენ და მის ნებასურვილებს ასრულებენო. როცა მე გოპოვს ვუწოდე მოღალატე, მან სთქვა; „მე თქვენ გემორჩილებოდი და ვასრულებდი თქვენს მოთხოვნებს მანამდე, ვიდრე ბრძანება არ მივიღე ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტისგან, რომელსაც უნდა დავემორჩილოთო". უნდა ითქვას, რომ აჯანყებულთა უმრავლესობა გახრწნილი შავი ზღვის ფლოტის მატროსები და ამას წინეთ იარაღ აყრილი ანარქისტებია.(გაგრძელება იქნება)

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. ლამბასის არხის სამხრეთით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. სომმის მარჯვენა ნაპირზედაც მოვიგერიეთ იერიშები. მდ. სომის ორივე ნაპირად საღამოს საარტილერიო როლა გაცხოველდა.

აუტბულის დასავლეთით და ნუიაინის სამხრეთ-დასავლეთით დღეს საარტილერიო მომზადების შემდეგ მტერი იერიშით მოვიდა ვილლერ-კოტერეს. იერიშები მოგერიებულ იქნა. გუშინ ჩამოვაგდეთ მტრის 13 აეროპლანი.

პარიზი. ფრონტზე უმნიშვნელო ქვეითი და საარტილერიო შეტაკებაა. წარსული დღე ღამის განმავლობაში მცირე საჰაერო ბრძოლას ჰქონდა ადგილი. მტერს დავუშიანეთ 13 აეროპლანი.

სტამბული. პალესტინის ფრონტი. ზღვის ნაპირის ადგილებში სამხედრო მოქმედებაა. მთელი დღე საჰაერო დასაზვერი მუშაობა სწარმოებდა. ფრონტის დანარჩენ ადგილებში საარტილერიო სროლა იყო დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

ბერლინი. ნუიაინის სამხრეთ-დასავლეთით ფრანგების იერიშები მოვიგერიეთ, შატო ტიერრის დასავლეთით ცოტათი წინ წავიწიეთ.

უკანასკნელი ცნობები

ფასანაური.

ფასანაურის აღების შესახებ სახალხო გვარდიის შტაბის მიერ დამატებითი მიღებული ცნობებით ჩვენი ჯარისთვის იქ დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ. მოწინააღმდეგის მხრით მოკლულია 60 კაცი. ბევრი წამოუყვანია ჩვენს ჯარს ტყვეთ. ჩვენის მხრით დაჭრილია 15 რომელთაგან მძიმეთ დაჭრილი არც ერთი არის.

საალყო წესები მაზრაში.

1. დუშეთის მაზრაში 8 ივლისიდან გამოცხადებულია საალყო წესები. ყოველგვარი გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ ჩაქრობილი იქნება შეიარაღებული ძალით.

2. ყოველგვარი იარაღის ტარება და შენახვა სასტიკად აღკრძალულია.

3. ამიტომ ვუბრძანებ ყველა მცხოვრებთ იარაღი ჩააბარონ დუშეთის კომისარიატს.

4. ბრძანების აუსრულებლობისთვის დამნაშავენი გადაეცემიან სამხედრო-საველე სასამართლოს.

გარნიზონის უფროსი და ქალაქ დუშეთის კომენდანტი პორუჩ. **გრიგოლია.**

ახალი ამბები

დღეს, 2 საათზე დანიშნულია სოლქა კომიტეტის სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის კრება ბიუროს ბინაზე.

◆ **თფილისის ქალაქის თვითმართველობის** შუამდგომლობის შესახებ, რომ 1 მილიონი მანეთი გადაიდოს ლტოლვილთა სასარგებლოთ, მთავრობამ დაადგინა გადაიდოს 100 ათასი მანეთი. ამასთანავე გამოეცხადოს ქალაქის თვითმართველობას და სომეხთა ეროვნულ საბჭოს, რომ მთავრობას საშუალება არა აქვს ფინანსიური დახმარება აღმოუჩინოს ქალაქის თვითმართველობას ლტოლვილთა სასარგებლოთ. ამისთვის მთავრობა წინადადებას აძლევს მათ მიმართონ დასახმარებლათ სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულებებს და მდიდრებს.

◆ **გენ. მაზნიაშვილის დაჯილდოვება.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით ქართული პირველი მსროლელი დივიზიის უფროსი გენერალ-მაიორი მაზნიაშვილი დაჯილდოვებულ იქნა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით ხმლითურთ იმ სამსახურისათვის, რომელიც მან გამოიჩინა შავი ზღვის პირის ადგილების განთავისუფლების, გუდაუთის, ადლერის და სოჩის აღების საქმეთა ხელმძღვანელობის დროს. საომარი მინისტრის ბრძანებით გენ. მაზნიაშვილს ნატანებთან მტერზე გამარჯვების გამო წმ. ვლადიმერის მე 3 ხარისხის ორდენი ებოძა.

◆ **თავდასხმა.** 9 ივლისს, საღამოს 6 საათზე სასტუმრო „ფლორიდა"-ში შევიდა სამი უცნობი პირი. წარადგინეს ყალბი მოწმობა და გაჩხრიკეს მე-5 ოთახი. ბოროტ-გამზრახველები ოთახში შესვლისთანავე რევოლვერებით დაემუქრენ იქ მყოფთ და გააჩერეს. წაიღეს 11 ათასი მანეთი. მილიციონერებმა ბოროტგამზრახველებს დროზე მოასწრეს და ორი იმათგანი დაატუსაღეს. ერთი მათგანი აღმოჩნდა დვალიძე, რომელსაც ფული აღმოაჩნდა, ხოლო მეორე ნ. ნიკოლაშვილი.

◆ **შინაგან მაქმეთა მინისტრის** მოხსენებით ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტს სახარჯოთ მიეცა 50 ათასი მანეთი იმ ფონდიდან, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაშია ანარქიასთან საბრძოლველათ.

◆ **პანაშვიდი.** 9 ივლისს საგანგებო ბათალიონის ბინაზე დილის 11 საათზე გადახდილი იქნა პანაშვიდი სოხუმის ოლქში დაღუპულ ოფიცერთა და ჯარისკაცების სულის მოსახსენებლათ, რომელსაც დაესწრო სამხედრო მინისტრი გიორგაძე და სიტყვა წარმოსთქვა იმავე 9 ივლისს ოფიცრებმა ჯარისკაცების წარმომადგენლებთან ერთად გმირულათ დაღუპულების ხსოვნის აღსანიშნავად დადგინეს: მათი სახელი და გვარი იქნეს მარმალილოს ქვაზე დაწერილი და დაკიდული ბათალიონის ბინაზე? გაკეთდეს ყველასათვის საერთო გვირგვინი, გაგზავნეს ორი ოფიცერი და ორი ჯარისკაცი ს. აბაშაში პრ. მასხულიას და პორუჩ. ფირცხალავას დაკრძალვაზე დასასწრებლათ. პრ. მონიავას მიენდო სიტყვა წარმოსთქვას ბათალიონის სახელით.

◆ **ბორჯომიდან** გვატყობინებენ: ადგილობრივ დაბანაკებულ ჯარების ზოგიერთი ოფიცრები (განსაკუთრებით მე-2 ქართულ ცხენოსან პოლკისა) უწევ სოებას სჩადიან: ყოველ დღე დაფა-ზურნით ქეიფი, ლოთობა, ადგილობრივ მცხოვრებლების მუშტი-კრივით გამასპინძლება და სხვა. სასურველია ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არის.

◆ **სტატისტიკა.** ქალაქის თვითმართველობისა და ერობის კურსებზე მსმენელთა სტატისტიკური ცნობა. 34 მამაკაცი და 8 ქალი. მათ შორის, 26 ქართველი (24 მამაკაცი და 2 ქალი). რუსები—7 (3 მამაკაცი და 4 ქალი). სომხები—3 კაცი, ბერძნები—2 კაცი, ოსები—1 ქალი და მუსულმანი—1 ქალი. ამათში 5 უმაღლესი სწავლა დამთავრებულები არიან, 21 საშვალო და 8 პირველ დაწყებითი.

◆ **პროფესიონალური კავშირის** მოღვაწეთა მოსამზადებლად, ხუთშაბათს, 11 ივლისს საღამოს 3 საათიდან ცენტ. სახ. უნივერსიტეტში იხსნება კურსები. პირველი ლექცია წაკითხული იქნება პარასკევს, 12 ივლისს იქვე. კურსებზე მიღება გრძელდება.

◆ **თფ. მოსამსახურეთა პროფ. კავშირი** სთხოვს ნაც. საბ. პრეზიდიუმს სასახლის მოსამსახურეთა ჯგუფის მომართებას.

◆ **ეროვნულ საბჭოს** პრეზიდიუმში კომპოზიტორ ფალიაშვილმა განაცხადა, რომ მან გამოირკვია საქმე კონსერვატორიის გაჭურდვის შესახებ და აღმოჩნდა, რომ კონსერვატორიაში ყველაფერი რიგზეა და არავითარი უწესობა არ ყოფილა. ასე, რომ კომისრის დანიშვნა არ არის საჭირო.

◆ **გარეშე საქმეთა** კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა კ. საბახტარიშვილი, მდივნათ ჯაჯანაშვილი.

◆ **გზათა მიმოსვლის** კომისიაში ნაც. დემოკრატებიდან შევიდა რ. გაბაშვილი.

◆ **სურსათთა მინისტრის** მოხსენებით, უცხოეთიდან საქართველოში პურის შემოტანის შესახებ, მთავრობამ დაადგინა დაევალოს გზათა, მომქმედ, ფინანსთა, სურსათის და იუსტიციის მინისტრებს ხელშეკრულობა დასდონ ამის შესახებ მოიჯარადრებთან.

◆ **დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა: „ბოკე ცარია ხრანი-"ს გალობისათვის ყარსის ცხენოსანთა რაზმის კორნეტი ბ. ბრეჭნოვი და ივანე პავლოვი. ფულის დატყუებისათვის ვაჭრების ზედამხედველი ნ. თოთიბაძე. ბრძანების შეუსრულებლობისათვის ჯარის კაცები: გიორგი ჩიჩუა, ვასილი ხინთაკაშვილი, ლადიკო რუხაძე და გიორგი პხუტური.

◆ **თბილისში მცხოვრებ მეგრელების საყურადღებოდ.** კვირას, 14 ივლისს დილის 10 საათზე ზუბალაშვილის სახლში დანიშნულია თბილისში მცხოვრებ მეგრელების საზოგადო კრება. დღიური წეს-რიგი: 1) მოხსენება მომენტის შესახებ, 2) სამეგრელოს დღევანდელი ვითარება, 3) სამეგრელოს დამხმარე კომიტეტის დაარსება. დაბეჯითებით მთხოვთ თბილისელ მეგრელებს აუცილებლად დაესწრონ ხსენებულ კრებას. **საინიციატივო ჯგუფი.**

◆ **მიწების მიმღებ კომისიაზე თავდასხმა.** სურამის ახლოს მიმღებ კომისიას თავს დაესხნენ, პეტრე და სხვა ხაჩიძეები, (პეტრე ხაჩიძე მემანქანეა) ხაჩიძემ მოწოდებით მიმართა გლეხებს იარაღით გამოსულიყვენ და კომისიის წევრები დაეხოცათ. ხაჩიძეები დააპატიმრეს და გორის ციხეში გაგზავნეს.

◆ **ბათუმში** ამ ჟამად 1000-მდე უკრაინელთა ოჯახი იმყოფება, რომელთაც უფულობის გამო სამშობლოში დაბრუნების საშვალება არა აქვთ თურმე.

◆ **დელეგაციაში,** რომელიც რუსეთში უნდა გაემგზავროს, მთავრობის მხრით შევიდა პოლკ. ქავთარაძე. ხარჯათ მიეცა დელეგაციას 4000 მანეთი.

◆ ამხ. გიორგი კილაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის არავითარ მონაწილეობას არ იღებს ბორჯომის წყლის ექსპლოატაციაში; ეს საქმე აღებული აქვს არა მას, არამედ—ბათლომე კილაძეს.

◆ **ვიპოვე** არსენალის დაბლა, ხევში, ქალის და კაცის ტანისამოსი კალათში ჩაწყობილი, დაახლოვებით 1000 მანეთის ღირებულებისა და გადავეცი თფ. მეცხრე კომისარიატში, დამკარგველთ შეუძლიათ მიმართონ ზემოაღნიშნულ ადგილას. მარო მძელური.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მე-3 რაიონის კოლექტივის კრება კოლექტივის ბინაზე.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე თავის ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონის კოლექტივის კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია მეორე რაიონის კოლექტივის კრება.

ფულის ნახატის კონკურსი

(კონკურსის მონაწილეთა საყურადღებოთ)

1. სურათი უნდა იყოს შედგენილი ქართული სტილის მიხედვით; სიგანე სურათისა უნდა იყოს 10 სანტ., სიგძე 15 სანტ.

2. ნახატში ჩართული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის ემბლემა, გამომხატველი მიჯაჭვული ამირანის განთავისუფლებისა.

3. სურათის პირი შედგენილი უნდა იყოს ორის ფერადით, ზურგი სამის ფერადით.

4. პირის მხარეზე უნდა იყოს წარწერა: „საქართველოს რესპუბლიკის საკრედიტო ბილეთი" „ას მანეთიანი" და „საქართველოს რესპუბლიკა მოვალეა მთელი თავისი ქონების თავდებობით გაანაღდოს საკრედიტო ბილეთი". ფინანსების მინისტრი. გამგე—

5 ზურგის მხარეზე რამდენსამე ადგილას უნდა იყოს ჩართული „100 მან." და წარწერა: „ყალბი ბილეთების გაკეთებისათვის ან გასაღებისათვის დამნაშავეთ ჩამოერთმევათ ყოველი ხარისხი და უფლება და დასჯილ იქნებიან სისხლის სამართლის წესით".

6. სურათი უნდა იქმნეს წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს კანცელარიაში არა უგვიანეს 21 მკათათვისა ნაშუადღევის 2 საათამდის.

7. საუკეთესოდ ცნობილ და მიღებულ სურათში მიცემულ იქნება პრემია 1000 მან.; თუ მარტო ცალი მხარე იქნება მოწონებული მიეცემა ნახევარი.

8. სურათი წარმოდგენილ უნდა იყოს დაბეჭდილ კონვერტში რაიმე წარწერით ან ნიშნით; იგივე ნიშანი ან წარწერა უნდა იყოს მეორე კონვერტზე გარედან, შიგნით კი უნდა იყოს ჩადებული ბარათი სახელი, გვარი და მისამართით სურათის ავტორისა.

კანონები

(მიღებული ნაქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ).

I.

1918 წლის პურისა და თივის მოსავლის სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებისა თფილისის მაზრის, ყარაიაზის ნაწილის, სოფლებში: მიხაილოვკასა, ტატიანოვკასა, ვოეიკოვოსა და ვასილიევკაში.

1. გამოცხადდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებად 1918 წლის პურისა და თივის მოსავალი თფილისის მაზრის, ყარაიაზის ნაწილის, შემდეგ სოფლების: მიხაილოვკის, ტატიანოვკის, ვოეიკოვოს და ვასილიევკას.

2) მიენდოს მიწათ-მოქმედების მინისტრს დაარსოს კომისია ხსენებულ ადგილებში პურისა და თივის მოსავლის მოსაწევად. ამ კომისიის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა და მათი დანიშნა მიენდოს იმავე მინისტრს. კომისია ექვემდებარება მიწათმოქმედების მინისტრს, რომელიც მისცემს ინსტრუქციას.

3) თუ ხსენებულ ადგილებში პურისა და თივის მოსავალს მოიწევენ სათიბ-საყანეების ამ ჟამად გაქცეული პატრონნი, მიწათმოქმედების სამინისტრო უტოვებს მათ მათთვის საჭირო პურს და თივას, ხოლო დანარჩენში აძლევს განსაზღვრულ სასყიდელს იმ ხარჯების გაჩოკლებით, რომელიც გასწიეს ადგილობრივ მუსულმან მცხოვრებლებმა ყანებისა და სათიბების მოსარწყავად და შესანახად.

4) თუ იმ ადგილებში პური და თივა მოწეული იქნება სახელმწიფოს საშუალებით, და შემთხვევაში ყანებისა და სათიბების პატრონთ და აგრეთვე ადგილ. მკვიდრ მუსულმან მცხოვრებთ აუნაზღაურდებათ ის ხარჯები, რომლებიც გასწიეს დახვნასა, დათესვასა, მორწყვასა და შენახვისათვის. შემოსულ მოსავლიდან ადგილობრივ მკვიდრ მუსულმან მცხოვრებთ სამინისტრო დაუტოვებს სასყიდლათ მათთვის საჭირო პურსა და თივას. დანარჩენი მოსავალი კი გადადის მიწათ მოქმედების მინისტრის განკარგულებაში.

5) აღნიშნულ საქმისათვის და კომისიის ხარჯებისათვის მიეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს ავანსად ოთხმოცდა ათი ათასი მანეთი სახელმწიფო ხაზინიდან ათი მილიონის ფონდიდან. უფლება მიეცეს იმავე მინისტრს საინტენდანტოდან და სათივო ორგანიზაციიდან გამოიტანოს ორას მუშისათვის საჭირო პური, შაქარი, ჩაი და სათიბი და სხვა მანქანები.

6. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან იმისი მიღებისა საქართველოს საბჭოს მიერ.

5 ივლისი 1918 წ.

II

საგანგებო საგამომძიებლო კომისიის გაუქმებისა 1918 წლის ივლისის შვიდიდან.

საგანგებო საგამომძიებლო კომისია გაუქმდეს ამა წლის ივლისის შვიდიდან და ამ კომისიის ყველა საქმე გადაეცეს თფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელს კანონისამებრ წარსამართავად.

5 ივლისი 1918 წ.

III

ტფილისის სამოსამართლო პალატის შტატების შემცირებისა.

1) მიენდოს იუსტიციის მინისტრს დაუყონებლივ შეამციროს ტფილისის სამოსამართლო პალატის შტატები.

2) მიენდოს იმავე მინისტრს დაითხოვოს შტატ-გარეშე ხსენებულ პალატის ის წევრნი, მდივნები, მდივნების თანაშემწენი, მოხელეები და მოსამსახურენი, ვისაც ის საჭიროდ დაინახავს.

3) შტატ-გარეშე დატოვებულ პალატის წევრთ, მდივნებს, მათ თანაშემწეთ, მოხელეებს და მოსამსახურეთ მიეცეს ის შემწეობა, რომელიც სმზოგადოთ დაკანონებული იქნება დათხოვნილთათვის საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ.

4) ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

5 ივლისი 1918 წ.

IV.

ეროვნულ საბჭოს წევრთა გასამრჯელოსი.

ეროვნულ საბჭოს წევრს გასამრჯელოდ მიეცეს თვიურად ცხრა ასი მან.

5 ივლისი 1918 წ.

დეგულეგა

თფილისის საობლო სასამართლოს გაუქმებისა.

(მიღებული საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ).

1. თფილისის საობლო სასამართლო (Тифлисскій Сиротскій Судъ) გაუქმდეს ყველა ის საქმე, რომელიც საგუბერნიო საერთო დაწესებულებათა 1182 მუხ. ძალით (ტ. 11, ნაწ. 1, 1892 წ. გამოც.) ექვემდებარებოდა ამ სასამართლოს, დაექვემდებაროს მომრიგებელ მოსამართლეს კუთვნილებისამებრ.

2) იმავ დროიდან გაუქმდეს საქართველოს ქალაქებში საობლო სასამართლოთა დაარსების შესახებ 1181 და 1185 მ. მ. (ტ. 11 ნაწ. 1, საგუბერნიო საერთო დაწესებულ. 1892 გამოც.)

3) სასამართლო დაწესებულებათა დებულების (Учрежен. Суд. установл.) 435 მ. შეიცვალოს შემდეგნაირად: „სააპეკუნო ნაწილის გამგებლობა, გარდა იმ საქმეებისა, რომელიც შეეხება სოფლის მკვიდრ მცირე წლოვანთა და მართლმადიდებელ სამღვდელოების ობლების აპეკას და მცირე წლოვანებს, ევალება მომრიგებელ მოსამართლეებს.

4) გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკაში სამოქალაქო კანონთა (ტ. X, ნაწ. 1 კან. კრებ. 1896 წ. გაგრძელების მიხედვით) 240 მუხლი.

5) თფილისის საობლო სასამართლოს მოხელე ვინც სახელმწიფო ან საზოგადო დაწესებულებათა რომელსამე ახალ თანამდებობაზე არ იქნება [illegible] შტატ გარეშე დარჩებიან ხელფასით სისამებრ.

6) თფილისის საობლო სასამართლოს საქმეები გადაეცეს დასრულებული თფილისის ოლქის სასამართლოს შესანახად, ხოლო რომელიც წარმოებაშია ქ. თფილისის საობლო მომრიგებელ მოსამართლეებს.

5 ივლისი 1918 წ.

სოფლის და ქალაქის მუშათა საყურადღებოთ

რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე რუსეთის ყველა კუთხეები მოეფინა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებით, რომელთა პირდაპირი დანიშნულება **მხოლოდ რევოლიუციის გაღრმავება უნდა ყოფილიყო.** მაგრამ პირველ ხანებში მთავრობის სისუსტის გამო რევოლიუციონური ორგანიზაციები იძულებული შეიქნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს საქმეებშიც და ეკისრნათ სახელმწიფოებრივი მოვალეობანი ერთის მხრივ მთავრობა და მეორე მხრივ რევოლიუციონური ორგანიზაციები ხშ რად ერთ და იმავე საქმეს აკეთებდნენ, როდესაც მათი დანიშნულება სხვადასხვა იყო. ამან გამოიწვია სახელმწიფოში ეგრედწოდებული „ორმთავრობიანობა", რევოლიუციონურ ორგანიზაციათა და მთავრობის უფლება-კომპეტენციები ისე აირია ერთი მეორეში, რომ არც ერთ მათგანს თავის ჩაწოყალიბებული და გარკვეული სამოქმედო გეგმა არ ქონდა. ასევე მოხდა ჩვენშიაც.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს იმის ბრალი იყო, რომ ჩვენ არ გვყავდა მტკიცე დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც შეძლებოდა ხალხის მტრების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის წარმოება, ყველა ნაძირალების აღაგმვა და მით მოპოვებულ თავისუფლების შენარჩუნება. არ გვყავდა დემოკრატიის ნდობით აღჭურვილი მთავრობა, და რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, როგორც წარმომადგენელთ დემოკრატიისას და მის ინტერესების დამცველთ, არ შეეძლოთ ჩაეგდოთ სახელმწიფო ასეთ მთავრობის ხელში.

პირობები იცვალა. თუ შარშან რევოლიც. მოძრაობა ნორმალურად მიდიოდა, წელს ყოველ კუთხეში ანარქისტული გამოსვლები ხდება, ნადგურდება ათეულ წლობით დემოკრატიის მიერ შეჭმნილი კულტურა... თუ შარშან რევოლიუციის გამარჯვებისა და წინსვლის ხანაში ვცხოვრობდით, წელს რევოლიუცია დამარცხდა და უკან-უკან იხევს; თუ შარშან რევოლიუციის გაღრმავებაზე ვფიქრობდით, წელს იმ მცირე მონაპოვართა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენ ხელთ არის, შენარჩუნებას ვცდილობთ.

მაგრამ რა გზით შეიძლება ამის შენარჩუნება?

ერთის მხრივ ხალხის მტრებთან, მეამბოხეებთან დაუნდობელი ბრძოლა და მეორე მხრივ დემოკრატიაში თვითშეგნების შეტანა და შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება—აი, რა გზას დაადგა კავკასიის ქალაქისა და სოფლის მუშათა დეპ. საბჭოთა საოლქო ცენტრი და თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო. მაგრამ ერთ და იმავე ორგანოს არ შეუძლია ყველა ამის შესრულება. უნდა მოხდეს ფუნქციების განაწილება: სახელწიფოებრივი ფუნქციები უნდა გადაეცეს დემოკრატიის მიერ ნდობით აღჭურვილ მტკიცე დემოკრატიულ მთავრობას, რომელმაც სისტემა ბრძოლა უნდა აწარმოოს ხალხის ველად მოღალატეთა წინააღმდეგ და ააშოროს დემოკრატიას მოსალოდნელი საფრთხე; რევოლიუციონური ორგანიზაციები კი უნდა დარჩნენ თავიანთ კლასიურ პოზიციებზე, დარაჯათ დაუდგნენ დემოკრატიას, თვით-შეგნება შეიტანონ ხალხში, ორგანიზაციულად დააკავშირონ ერთი მეორესთან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მშრომელი დემოკრატია და შემოქმედებითი მუშაობას მიჰყონ ხელი.

ვინაიდან ფუნქციათა განაწილება უკვე მოხდა მთავრობასა და რევოლიუციონურ ორგანიზაციებს შორის, თბილისის მუშათა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტმა გამოჰყო სასოფლო კომისია, რომელიც შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

სასოფლო კომისია გზავნის სოფლად პრაპაგანდისტებს, რომლებმაც ყოველ საჭირ-ბოროტო კითხვებზე პასუხი უნდა გასცენ სოფლის მუშებს, მოაწყონ მშრომელთა ორგანიზაციები და ერთი-მეორესთან დაკავშირებული მშრომელი დემოკრატია დაუკავშირონ საერთო ცენტრს. ამგვარად სოფლის მუშას საშუალება ეძლევა თავის ჭირ-ვარამის შესახებ ადგილობრივ პროპაგანდისტის დახმარებით მიმართოს ცენტრალურ სასოფლო კომისიას, რომელიც ყოველ ღონეს იხმარს მათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სასოფლო კომისია დარწმუნებულია, რომ ამხ. სოფლის მუშები გონივრულად შეხვდებიან ასეთ ნაბიჯს და ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ მას ამ ფრიად სიმპატიური საქმის შესრულებაში.

სასოფლო კომისიას ღრმად სწამს, რომ

ამიერიდან ბოლო მოეღება ყოველივე გაუგებრობას სოფლად, სოფლის მშრომელი ხალხი ქალაქის მუშებთან ერთად დაირაზმებიან დემოკრატიულ დროშის ქვეშ და სასტიკ მსჯავრს დასდებს ყველა მოღალატეს.

ამხ. სოფლის მუშებო! მოგვაწოდეთ ცნობები თქვენი მდგომარეობის შესახებ; სასოფლო კომისია თქვენი ინტერესები დამცველია და ყოველივე ძალ-ღონით შეეცდება თქვენ მიერ სამართლიან მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

მისამართი: თბილისი, სასახლე გლეხთა დეპუტატების საბჭოს ბინა, ოთახი № 10.

სასოფლო კომისია.

გიორგი კვაჭანტირაძე

ბათუმის ოსმალების ხელში გადასვლის შემდეგ სადგურ მახინჯაურში ოსმალების „ჩეტნიკებს“ ვერაგულათ მოუკლავთ მუშა-მებაღე ამხ. გიორგი კვაჭანტირაძე, სოფ. ხიდისთავის მცხოვრები. ეს სამწუხარო მკვლელობა ასე მომხდარა: ბათომის აღებამდე ამხ. გიორგის მახინჯაურიდან სოფელში გამოუგზავნია დედა და ორი პატარა შვილი. ცოლი კი იქ დარჩენილა. როცა ბათუმი ოსმალებმა აიღეს, მახინჯაურის ყველა მუშებს (56 კაცს) განუზრახავთ გამოპარვა და ამ მიზნით შეფარებიან ტყეს. აქ მათ ბათუმიდან წამოსული „ჩეტნიკები“ შეხვედრიათ, წაუყვანიათ მუშები ორთა ბათუმის გზით ჰოროხისაკენ, ყველასათვის ტანზე გაუხდიათ და იქვე დაუხოციათ.

ამხანაგი გიორგი 38 წლის იქნებოდა. 1902 წლიდან 1907 წლამდე არა-ლეგალურათ მუშაობდა ს. დ. პარტ. სოხუმში და გაგრაში. 1907 წელს ადმინისტრაციის მიერ ის დატყვევებულ იქნა. ორი წელი დაჰყო გაგრის, სოხუმის და ნოვოროსიის ციხეებში. იქიდან დაბრუნებული გურიაში მუშაობდა, უკანასკნელად სადგურ მახინჯაურში მებაღეთ იყო, სადაც ამხანაგებისაგან მოწინავე და საპატიო პირათ იყო მიჩნეული.

მშვიდობით ამხანაგო! შენი მოღვაწეობა სამარადისოთ დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის. რადიკალი.

ეროვნის გარშემო

თფილისის სამაზრო-საეროთო არჩევნები. თფილისის განაპირა უბნების და სართიჭალის ოლქში ხმოსანთა არჩევნები მოხდება 14 ივლისს.

თფილისის განაპირა უბნების ოლქში სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას № 2 სიით წამოყენებული კანდიდატები:

1) ნამოლაშვილი ლევან ანტონის ძე, თფ. მაზრის საადგილ-მამულო გამგეობის თავმჯდომარე, თფილისი, 2) გვანცელაძე, ნიკოლოზ ივანეს ძე, უფროსი მესტამბე, თფილისი, 3) იზხანოვი მიხეილ მიხეილის ძე, ნაფიცი ვექილი თფილისი, 4) წამალაშვილი, მიხეილ ფირალისი, 5) ხელაძე ივანე ექვთიმეს ძე სამინისტრო. ემისარი თფილისი, 6) გალუსტიანი, აშოტ ბოგდასარის ძე, გამომძიებელი (უპარტიო) თფილისი, 7) სუთიაშვილი დარჩო ივანეს ძე, მეურნე, დიღომი, 8) კაუტერი ფრიდრიხი, მეურნე, ალექსანდროვკა, 9) გაგლოშვილი იობ თეთბოს ძე, კოოპერატორი, ავჭალა, 10) ოგანეზიშვილი ბაგრატ ემორის ძე, მეურნე, ლისი, 11) მენთეშაშვილი, გიორგი სტეფანეს ძე, მეურნე ვაშლოვანი; 12) შახმუღალშვილი იოსებ ივანეს ძე, მეურნე, წყნეთი, 13) ბაბა-ასტან-ოღლი მეურნე, საბურთალო.

სართიჭალის ოლქში სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია სოც.-ფედერალისტებთან შეთანხმებით აყენებს შემდეგ კანდიდატებს:

1) ასათიანი, ლევან გიორგის ძე, ვექილი, მაზრის აღმასრ. კომ. თავმჯდ. ტფილისი; 2) ჭიაბერაშვილი, ანდრო, ეროვნულ საბჭოს წევრი, ტფილისი; 3) ბესელიძე, იოსები, ქალაქის გამგეობის წევრი, ტფილისი; 4) ჯიღაური, გიორგი დავითის ძე, სართიჭალის რაიონ ს კომისარი, პატარძეული: 5) ბერძნიშვილი მაქსიმე დავითის ძე, ფილოლოგი, ტფილისი; 6) კანჯარაშვილი, ვასილი, საუბნო საად.-მამულო კ—ს თავმჯდომ. გიორგიწმინდა; 7) ავუტიუნოვი, ალექსანდრე ავეტ., საგარეჯოს აღმასრ კ—ს წევრი, საგარეჯო; 8) ბილანიშვილი, არჩილ გიორგის ძე, ინჟინერი, ტფილისი; კანდელაკი, მიხეილ ნიკ. ძე, აგრონომი მარტყობი; 10) თევდორაშვილი გიორგი, მემანქანე თფილისი; 11) კანდელაკი გიორგი, კოოპერატორი თფილისი; 12) ბილანიური ვალერიანე, მუშა თფილისი; 13) დავარიაშვილი მიხეილ დიმ., მეურნე საგარეჯო; 14) სიროვატკინი პავლე, მწერალი გომბორი; 15) გასანოვი ფაშა, მეურნე მუღანლო; 16) ქურხული ნიკოლოზ იოსების ძე, რკინის გზის მუშა საგარეჯო; 17) ჯიღაური მიხეილ სოლომონის ძე, მეურნე პატარძეული; 18) მანველიძე ილია, მეურნე საგარეჯო; 19) ქურდოვანიძე იოსებ სოლომ., მეურნე საგარეჯო; 20) გძელაძე ნიკოლოზი, მეურნე გიორგიწმინდა; 21) მეკოშკიშვილი ალექსანდრე, მეურნე ნინოწმინდა; 22) გურჯანიძე ვასილ ივანეს ძე, მეურნე, გიორგიწმინდა; 23) ბერძნიშვილი გიორგი, მეურნე გოხლიაური; 24) ქურხიშვილი სანდრო იოსების ძე, მუშა საგარეჯო.

საჭიროა ვართო აგიტაცია

სენაკის მაზრაში მთავრობის რევოლიუციონურმა რაზმმა მძვინვარე ანარქია თითქმის მოსპო. როგორც გადმოგვცემენ სენაკის მაზრიდან ჩამოსულები, ამ ქამათ მთელს მაზრაში აღდგენილია წეს-რიგი და ხალხის ფართო მასსა თავისუფლათ სუნთქავს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კვლავ არ იფეთქებს ანარქია, თუ კი მისი გამომწვევი მიზეზები არ მოისპო. ამბობენ საერთოთ, ანარქიის გამომწვევი მიზეზი უმთავრესათ მიწის საკითხის მოუწესრიგებლობააო. მე კი თამამათ შემიძლია განვაცხადო, რომ სენაკის მაზრაში, განსაკუთრებით მარტვილის რაიონში მიწის საკითხის გადუჭრელობას უმთავრესი როლი არ უთამაშნია. აქაურმა გლეხებმა კარგათ იციან, რომ მათ მიწას ზეციდან არავინ ჩამოუგდებს, ადგილობრივათ კი მიწის დიდი ნაკლებობაა. აქ ანარქიის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი იყო „მობალშევიკო“ ხალხის უმეცრი აგიტაცია და ხიშტებ-მოღერებული ჯარისკაცების მუქარა. უპასუხისმგებლო ელემენტებმა ყოველგვარი ღონე იღონეს, რომ მთავრობისთვის და მენშევიკებისთვის სახელი გაეტეხათ, მიზეზს თითქმის მიაღწიეს. ჯარისკაცების ტერორის ქვეშ მყოფმა ჩვენმა აძხანაგებმა ვერ შესძლეს მდგომარეობის ხალხისთვის გაცნობა, პროპაგანდა აგიტაცია, განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომლებიც მთავრობის გავლენას მოკლებული იყო და სხვა. ამ ქამათ თითქმის მთელი სოფლები მომუშავე პარტიულ ამხანაგებისაგან დაცლილია და სოფლათ არავითარი პარტიული მუშაობა არ სწარმოებს. აი ამ მხარეს დაუყონებლივ უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და სამეგრელოში გაგზავნოს რამოდენიმე პასუხისმგებელი პროპაგანდისტი, რომელნიც ხალხს გააცნობენ ჩვენი მხარის ნამდვილ მდგომარეობას, მოაწყობენ პარტიულ ორგანიზაციებს და სხვ. ეს მით უფრო საჭიროა დღეს, რომ სოფლათ ათასნაირი ყალბი ხმები დადის ნემცების მოსვლაზე, საქართველოს დამოუკიდებლობაზე და სხვ. ადგილობრივ ამხანაგების პროპაგანდა ახსნას თითქმის არავითარი გავლენა არა აქვს და არც ექნება. ამიტომ აუცილებლობა მოითხოვს გარეშე პროპაგანდისტების მუშაობას. დაყოვნება შეუძლებელია..

ან. სანი.

„ღითელი ჯვრის“ ლიკვიდაციის გამო.

„წითელი ჯვარი“ რომ შავრაზული დაწესებულება იყო და დარჩა რევოლიუციის შემდეგაც და შიგ არავითარი ცვლილებები არ მომხდა ეს ჩვენმა მკითხველებმა იციან. ჯერ კიდევ რევოლიუციის პირველ ხანებში. პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელმა ექიმმა წ. კ. თანამშრომელთა კონვენციაზე პეტროგრადში სხვათა შორის სთქვა ამბობენ, რომ „წითელი ჯვარი“ არის „ოხრანკების“ თავშესაფარი.

დღემდე ეს ვაჟბატონები ვერ ბედავდენ ხმის ამოღებას რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ და თავიანთ მელაობით ესენიც „რევოლიუციონერობდენ“ ეხლა კი წელში გასწორებულან და აშკარა ომს უცხადებენ მთავრობას. ორიოდ უპასუხისმგებლო პირები შეკრებილა და უპასუხისმგებლობა, მათ მიერ შეხანხლულ „საბჭოსათვის“ განცხადება მიუთმევიათ, სადაც არავითარ მთავრობას არ ცნობენ და არ „აძლევენ“ ნებას ადგილობრივ მთავრობას წ. ჯ. საქმეებში ჩარევისას.

სანამ ამ განცხადებას შევეხებოდეთ საჭიროა ვიცოდეთ ვინ არიან და ვის უნდა იყვნენ დღეს ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში წ. ჯ. დაწესებულებების გამგე პატრონნი: ჟენევის კონვენცია, რომელსაც მაგრათ ჩაბღაუჭებიათ წ. ჯ. თანამშრომელნი, განსვენებული დიუნონი, რომელმაც საერთაშორისო წ. ჯ. დაარსება ითავა, მთავარი რწმუნებული კავკასიის ლაშქართან მთავარ გამგეობისა ბ. ლ. ვ. გოლუბიევი, თუ ადგილობრივი მთავრობა, ამასთან ვინ არიან წ. ჯ. დაქირავებული მოსამსახურენი, რა უფლება აქვთ დაეპატრონონ იმ დაწესებულებების ქონებას, რომელნიც მთავრობის ხარჯზე არსებობს, თუ ამის უფლება აქვთ წ. ჯ. მოსამსახურეებს, მაშინ ყველა მოქალაქეთ ჰქონია უფლება ჩაერიოს მთავრობის საქმეებში ისე, რომ ცალ-ცალკე ყველამ თავ თავის გემოზე გადაწყვიტოს ესა თუ ის კითხვა, მაშინ მთავრობაც რაღა საჭიროა? ეხლა ვიკითხოთ რაღას წარმოადგენს მთავარ რწმუნებულის კანცელარიის „საბჭო“, სადაც შეიტანეს მიართვეს წ. ჯ. მოსამსახურეებმა, კონტრრევოლიუციონურ ჩინოვნიკობას, თუ დაბეჭდა და მცველები დააყენა. თურმე ნუ იტყვით, და თუ ხალხის მიერ არჩეული დემოკრატიული მთავრობა დაეპატრონება ხალხისავე ქონებას, მაშინ ირღვევა ჟენევის კონვენცია და თუ კერძოთ წ. ჯ. შავრაზმელი ჩინოვნიკობა დაიტაცებენ საქონლებს და მილიონობით ფულს გაფლანგავენ მაშინ არ ირღვევა ჟენევის კონვენცია.

ამასთან მთავრობა თურმე ვალდებული ყოფილა საწარმოვო თანხა აძლიოს წ. ჯ. და კანტროლისა და შინაური საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონია რესპუბლიკანურ დემოკრატიულ მთავრობას, როდესაც ამის უფლება ჰქონდა ძველ თვითმპყრობელურ მთავრობას, როდესაც წ. ჯ. შავრაზმელ ინვალიდების შენახვაზე მეტი ეხარჯებოდა, ვიდრე დაჭრილ-დაავადმყოფებულ ჯარისკაცებზე, როდესაც ხსენებული მთავრობა თავის კანტროლს პეტროგრადიდან ნიშნავდა. ამაზე მეტი შავრაზმელობა იქნება.

განცხადების ავტორნი ხშირათ ლაპარაკობენ რ. წ. ჯ. საერთაშორისო მნიშვნელობაზე, რომ რ. წ. ჯ. საზოგადოება არის კერძო და ნაწილი საერთაშორისო ნეიტრალურ ავტონომიურ საზოგადოებისა. ეს ჟენევის კონვენციის თანახმათ.

მაგრამ 1917 წ. 28 აპრილის და 6 მაისის მედიკო-სანიტარულ ყრილობაზე, სადაც წითელი ჯვრის წარმომადგენლებიც იყვენ ასეთი დადგენილება იქნა მიღებული: „საჩქაროთ მჭიდროთ შეკავშირება-შეერთება სრულ გაერთიანებამდის ყველა ორგანიზაციათა ფრონტისა და ზურგის კავკასიის ლაშქრისას, მაგალითად, სამხედრო-სანიტარულის, წითელი ჯვრის, საეროთო და ქალაქთა კავშირებისა, გათანასწორება მათი უფლებრივათ, მატერიალურად და ადმინისტრატიულათ (იხ. მე-3 მუხლი მე-6 სექციისა). მაშინ ამ რეზოლიუციას მხურვალეთ იცავდენ ისევ წითელი ჯვრის თანამშრომელნი, დღეს კი რაღა დაემართა?

რაღა ბევრი გავაგრძელო, ასეთი ადგილები განცხადებაში მრავალია. ამას მთავრობამ სასტიკი თვალ-ყური უნდა ადევნოს დაუყონებლივ. ეხლავე გადაყენებული უნდა იქნას მთელი შემადგენლობა წ. ჯ., საქონლის საწყობების მთელი ქონება აიწეროს და გაფლანგვის გზა სათვის პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული ყველა პასუხისგებ ადგილზე მყოფი პირები. საჭიროა რევიზიამდე არც ერთი მოსამსახურე არ იქნას განთავისუფლებული და ჯამაგირი და სალკვიდაციო ჯილდო არ მიეცეს. აგრეთვე წ. ჯ. მთავარ რწმუნებულის კანცელარია გარდა სალიკვიდაციო საკანტროლო ნაწილისა ეხლავე დახურულ იქნას და იქაც ასეთივე ზომები იქნას მიღებული. მთავრობამ ეხლავე გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს. დაყოვნება შეუძლებელია.

მომავალ საძართველოს წითელ ჯვრის საზოგადოების დაარსება მთავრობის საქმეა, თუ მას საჭიროთ დაინახავს მთავრობა.

ვლ. ბახველი.

წინ წავიდენ!

(სოხუმის ოლქში ბრბოსთან შეტაკების დროს ქართული საგანგებო ბათალიონის გმირულათ დახოცილ ოფიცრების და ჯარისკაცების ხსოვნას).

უკეთესი მომავლისთვის იცოდენ, რომ სისხლს დაღვრიდენ,
გულს იმედი აღვივებდა, სწამდათ—ეკლის გზას განვლიდენ,—
უკან აღარ მოიხედეს, მედგარ ბრძოლით წინ წავიდენ,
და დაეცნენ ვითა გმირნი,
ბედისაგან განაწირნი!

ვეკითხები ტყე, მთა, მინდორს:
რისთვის დაღრა უდროთ ვარდი!?.
ვეკითხები კეთილის მდოს:
რათ გძულვარ, როს შემიყვარდი!?.
გული შენი კარგი არის,
მაგრამ საქმით მასმევ შხამსა..
მარქვი: რა ხარ გმირათ მკვდარის!?
შენც თუ ივლი იმათ გზასა!?.
შენ მდუმარებ და ბუნებაც
არას ამბობს ნაღვლიანი;
მხოლოდ დედათ მწარე კვნესა,
და ქვითინი სვედიანი,—
ეფინება მთელ მიდამოს,
რომ ცრემლებით დაინამოს...

სატრფოს ცრემლიც მეკითხება:
სად არს ვარლამ, კუკუნია!?
ვლადიმერ სად გეგულება?!
ან ნესტორიც ბედკრულია!?.
მე რა ვუთხრა?.. წინ წავიდენ,
არ დახარეს მონურ ქედი..
არასოდეს ცრემლს არ ღვრიდენ...
დიდებაა მათი ხვედრი.
და სამშობლოს გულის ფიცარს
იმათ სახელს უკვდავ ყოფენ...
ეჰ, ნეტავი ბრძოლაში მკვდარს!..
ვაი, ვინც შინ ამაყობენ!..

უკეთესი მომავლისთვის პირადობა უკუ აგდეს...
„კვლავ წინ წავალთ, ოღონდაც კი საქართველო ნორჩი აღსდგეს!“—
ესა სთქვეს და განისვენეს, შესწყდა გულის წრფელი ძგერა...
ჩვენც მოვკვდებით.. სამშობლო კი, რომ აღსდგება, მრწამს და მჯერა!

დ. მეჩოგურე.

9 ივლისი 1918 წ. თფილისი.

საქართ. ფოსტა-ტელეგრ. მოხალეთია პრილოგა

(დასასრული)

22 ივნისს სხდომის გახსნისას თავმჯდომარე კითხულობს მცხეთვერიძის და ჩარკვიანის თხოვნას, რომელნიც თხოულობენ სამსახურში მიღებას. ყრილობამ დაადგინა ორივე თხოვნა გადაეცეს გასარჩევათ რეორგანიზაციულ სექციას. შემდეგ სიტყვას ღებულობს „ცენტროპოლის“ წარმომადგენელი ამხ. წინაძე. მომხსენებელი აღწერს ფრონტზე მომუშავე მოხელეების „პოლევიკების“ ცხოვრებას და მოუწოდებს ყრილობას, რომ გამოიტანოს დადგენილება დათხოვნილ „პოლევიკების“ სამსახურში მიღებაზე. შემდეგ ლაპარაკობს „ცენტროპოლის“ მეორე წარმომადგენელი ალავერდოვი. იგი ადასტურებს წინაძის სიტყვას, ბრალს სდებს საოლქო კომიტეტს უყურადღებობაში და მოუწოდებს ყრილობას დაადასტუროს 1917 წ. 10 მაისს შეერთებულ კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილება. ყრილობამ საკითხის გამორკვევის შემდეგ გამოიტანა დადგენილება, რომ ვინაიდან მოსამსახურეთა რიცხვი ისედაც შესამცირებელია, სანამ ადგილები განთავისუფლდებოდეს, „პოლევიკები“ ჩაირიცხონ კანდიდატებათ.

24 ივნისს სხდომაზე საგამომძიებლო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩიკოიძე. მომხსენებელი აცნობს ყრილობას კომისიის უმოქმედობას და თხოულობს კომისიის მიერ უკვე თავმოყრილი საბუთების და მასალების გამომეღავნებას. ხრამცოვი აცხადებს, რომ ვინაიდან კომისია არ მუშაობს შეთანხმებულათ, ამოირჩეს ახალი კომისია. ბებურიშვილი ამბობს, რომ ღამარცხებულ ჯგუფის წევრებმა უკვე შეასრულეს თავისი სურვილი, ბრალდებები წამოაყენეს, ჩარჩი მოსცხეს ამხანაგებს და დღეს, როდესაც სიმართლე მათ სამაგიეროთ შერცხვენას უქადის, საქმეს აჭიანურებენ. ამხ. ჩიკოიძე განწირებით თხოულობს კომისიის მიერ შეკრებილ მასალების გამომეღავნებას. ამხ. ხოშტარია მოითხოვს, რომ საქმეები გადაეცეს მომავალ ცენტრალურ პროფესიონალურ გამგეობას. ამხ. ნასიძე მოითხოვს მის საქმეზე კომისიის მიერ შეკრებილ მასალების ყრილობაზე გამომეღავნებას. ამხ. შურა მოითხოვს პერსონალური წესით ახალი კომისიის არჩევას. თავმჯდომარემ კენჭი უყარა წინადადებებს და ყრილობამ მიიღო შურის წინადადება. შემდეგ თავმჯდომარე აცნობს ყრილობას სამუშაროთ და დამალონებელ ფაქტს ს. დ. მ. პ. ბელადის პლეხანოვის გარდაცვალების. ყრილობა ფეხზე ადგომით პატივს სცემს განსვენებულს და პრეზიდიუმს ავალებს, რომ ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნოს სასამძიმრო დეპეშა.

25 ივნისის სხდომის დღის წესრიგში არის შემდეგი საკითხები: 1) დეპეშების მტარებლების საქმეზე დანიშნულ საგამომძიებლო კომისიის მონსენება და 2) ორგანიზაციული სექციის მოხსენება. ამხ შანიძეს რიგის გარეშე შემოაქვს განცხადება, რომ ვინაიდან საგამომძიებლო კომისიამ ორი კვირის განმავლობაში ვერ გაარჩია მისი საქმე, მოწვეულ იქნას საქმის გასარჩევათ, მტყუანის ხარჯზე, ნაფიცი ვექილები. საგამომძიებლო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ფარცხალაძე და მოითხოვს, რომ კომისიის დადგენილების პირი: ერთი გაეგზავნოს მთავრობას, მეორე ოლქის კომისარს და მესამე ოლქის უფროსს. დასასრულ მომხსენებელი უმატებს, რომ ზოგიერთ დათხოვნილების სამსახურში მიღება არის თვითნებობა კომისარის ბ-ნი მასალაკისა მთავრობის დადგენილების საწინააღმდეგოთო. ორგან. ბაკურული სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. გაჩეჩილაძე და კითხულობს სექციის მიერ შემუშავებულ „პროექტს“, რომელსაც ყრილობა უკმათოთ ამტკიცებს. შემდეგ ნაციონალიზაციაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მებურიშვილი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დაწესებულების ნაციონალიზაცია არის აუცილებელი, ვინაიდან საბელმწიფოს უნდა ქონდეს თავისი სახელმწიფოებრივი ენა და ამას მოითხოვს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაც. დასასრულ მომხსენებელი ამბობს, რომ უწყება მომზადებულია ნაციონალიზაციის გასატარებლათ და საჭიროა მხოლოდ მთავრობის ნებართვა. ამხ. იანჭოშვილი ამბობს, რომ ნაციონალიზაცია არავის არ უნდა აკვირვებდეს, ვინაიდან ეს არის დიდი ხნის სურვილი საქართველოს დემოკრატიისა. ამხ. გაჩეჩილაძე ვრცელ სიტყვაში ასურათებს რუსეთის რევოლიუციის მიერ ერების განთავისუფლებას და მხარს უჭერს უწყების ნაციონალიზაციას. შემდეგ წინადადება კამათის შეწყვეტაზე, რომელსაც ყრილობა ერთხმათ ღებულობს და გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: „საქართველოს ფოსტა-ტელეგ. მოსამსახურეთა ყრილობა გრძნობს-რა საქართველოს რესპუბლიკის ფართო დემოკრატიის მოთხოვნილებას და ღებულობს-რა მხედველობაში, რომ დაწესებულების ნაციონალიზაცია არის ერთი უმთავრესი ლოზუნგი დემოკრატიისა, ნახულობს აუცილებლივ საჭიროთ საერთოთ ყველა სახელმწიფო დაწესებულებების და კერძოთ კი ფოსტ. ტელ. უწყების დაუყონებლივ ნაციონალიზაციას“.

შემდეგ თავმჯდომარე [illegible] თბილისელ დელეგატებს [illegible] რომელნიც თხოულობენ [illegible] ზედმეტი ხარჯების [illegible] ლით დაკმაყოფილებას. ყრილობა აღნიშნავს, რომ თკითეულ დელეგატს მიეცეს და დღიური 5 მან.

26 ივნისის სხდომის დღის წეს-რიგშის არის შემდეგი საკითხი: საორგანიზაციო სექციის მოხსენება. მოხსენებას აკეთებს ამხ. მებურიშვილი. კითხულობს ოლქის სამმართველოში დასარჩენ შტატის პროექტს, რომელსაც ყრილობა მცირე შესწორებით ამტკიცებს.

27 ივნისს. დღის წესრიგში არის შემდეგი საკითხი: რეორგანიზაციული სექციის მოხსენების გაგრძელება. სხდომის გახსნისას თავმჯდომარე კითხულობს დუანიკოვის თხოვნას, რომელიც თხოულობს ძველი ადგილის დაბრუნებას. ყრილობამ დაადგინა თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნას. შემდეგ რიგის ვარეშე სიტყვა ეძლევა ალექსანდროპოლის ფოსტის კანტორის წარმომადგენელს ხიხ[illegible] შვილს. მომხსენებელი აღწერს ოსმალების ხელში ტყვეთ ღარჩენილ მოსამსახურეების მდგომარეობას და სთხოვს ყრილობას იშუამდგომლოს, რომ მათ მიეცეთ ადგილი საქართველოს რესპ[illegible] ლიკის ფოსტა-ტელ. დაწესებულებებში. ყრილობამ კამათის შემდეგ ამოირჩია დელეგაცია მთავრობასთან საკითხის გამოსარკვევათ და გადავიდა დღის წესრიგის მორიგ საკითხზე—რეორგანიზაციის სექციის მოხსენების გაგრძელება. მოხსენებას აკეთებს მებურიშვილი. კითხულობს პროვინციის კანტორებში და განყოფილებებში დასარჩენ შტატების პროექტს, რომელსაც ყრილობა მცირე შესწორებით ამტკიცებს.

28 ივნისს სხდომაზე რიგის გარეშე სიტყვას ღებულობს ამხ. ხოშტარია და აცნობს ყრილობას კათალიკოსის კირიონ მეორეს გარდაცვალების. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. შემდეგ ყრილობა გადადის მორიგ საკითხზე. ამ დროს ყრილობას ეწვივენ საპატიო თავმჯდომარეები ნოე ჟორდანია და ირაკლი წერეთელი, რომელთა მოსვლას ყრილობა დიდი აღფრთოვანებით და მხურვალე ტაშით ეგებება. ნოე ჟრცელი სიტყვით მიმართავს ყრილობას და დასასრულ მოუწოდებს, რომ ფოსტა-ტელ. დემოკრატია, რომელიც იდგა თავის სიმაღლეზე შემდეგშიც მტკიცეთ დაიჭერს რევოლიუციონურ დროშას და იმუშავებს რევოლიუციის საკეთილდღეოთ. ამხ. ირაკლი სიტყვას ამბობს ს. დ. მ. პ. სახელით, მოუწოდებს შემოქმედებითი მუშაობისკენ და ყრილობას სტოვებენ. საპატიო თავმჯდომარეებს ყრილობა მხურვალე ტაშით ისტუმრებენ. ამხ. ბებურიშვილი ათავებს თავის მოხსენებას და ყრილობა მთლიანათ ამტკიცებს პროექტს.

29 ივნისის სხდომაზე გაირჩა ეკონომიური სექციის მოხსენება. მოხსენებას აკეთებს შური, რომელსაც ყრილობა მცირე შესწორებით ამტკიცებს. შემდეგ შემოდის წინადადება, რომ ვინაიდან სარეორგანიზაციო სექციის პროექტი უკვე დამტკიცებულია და შტატებიც გამორკვეულია ამოირჩეს ხუთი პირისგან შემდგარი დელეგაცია მთავრობასთან საუშამდგომლოთ ჯამაგირების მომატების შესახებ. ყრილობა წინადადებას ერთხმად ღებულობს და დელეგაციაში ამორჩეულ იქნენ: ხრამცოვი, ხოშტარია, შალიკიანი, ქურციშვილი და კოლეგიშვილი. ერთ ჯგუფს შემოაქვს განცხადება, რომ მიმავალ ამხანაგებისათვის, აღიძრას შუამდგომლობა მთავრობასთან საალიკვიდაციო ფულის მისაცემათ. ყრილობამ შუამავლობა დაავალა მომავალ ცენტრალურ გამგეობას. ამხ. ჭრელაშვილს შემოაქვს განცხადება, რომ ვინაიდან ზუგდიდში უფროსს და მოსამსახურეებს შორის მომხდარ კონფლიქტის გამოძიებაში მას ჩირქს სცხებენ მოწვეულ იქნას ნაფიცი ვექილები საქმის გამოსარკვევათ მტყუანის ხარჯზე. ამხ. ჭელიშვილი არ სცნობს საჭიროთ ნაფიცი ვექილების მოწვევას და მოითხოვს საქმის ცენტრალურ გამგეობაზე გადაცემას. ყრილობამ მიიღო ჭელიშვილის წინადადება. ამხ. გაჩეჩილაძე აცნობს ყრილობას, რომ ყოფილი საოლქო კომიტეტმა ქონების შესახებ დაადგინა: ქონება გადაეცეს ცენტრალურ გამგეობას. მხოლოდ გამოყოფილი რესპუბლიკის მოსამსახურეებისგან შემოსული ფული ინახებოდეს ბელუზოვის 2 წლის განმავლობაში. სარევიზიო კომისიის სახელით ამხ. თოხაძე აცნობს ყრილობას ყოფილ საოლქო კომიტეტ მოქმედებას, რომელზედაც ყრილობა გამოიტანა შემდეგი დადგენილება: რევიზიონერთ რა სარევიზიო კომისიის მ. ხსენება საოლქო კომიტეტის წევრების მოქმედების შესახებ, გამონაკლისათ რამოდენიმე პირისა, უმრავლესობა ვისცნით ბოროტ-მომქმედათ და ღირსათ თავის დანიშნულებისა, რისთვისაც ყრილობა მათ უცხადებს გაკიცხვას და უნდობლობას. უსამართლოთ გაფლანგული ფული კი, რომელიც აღწია ბ-ნ შურს პეტროგრადში სამგზავროთ, გადახდეს ყოფილ საოლქო კომიტეტის წევრებს.

გამონაკლისათ იმ პირებისა, რომლებმაც საოლქო კომიტეტის სხდომაზე ამ საკითხში თავი შეიკავეს და ფულის მიცემას მხარი არ დაუჭირეს. დადგენილება ეცნობოს ცირკულიარული წესით ყველა ფოსტის დაწესებულებებს.

30 ივნისის სხდომაზე მოხდა ცენტრალურ გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა. არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე ეგრეთ წოდებულ ინტერნაციონალურ ჯგუფის ზოგიერთმა წევრებმა უარი განაცხადეს. ამხ. შალიკიანს შემოაქვს წინადადება, რომ ცენტრალური გამგეობა შედგეს 11 კაცისაგან და სარევიზიო კომისია—5 კაცისაგან. ფარული კენჭის ყრით ცენტრალურ გამგეობაში ამორჩეულ იქნენ: შალიკიანი, ხრამცოვი, თუმანოვი, ბერძენიშვილი, ჭურთიშვილი, შელიშვილი, დავლიანიძე, დუმბაძე, ხოშტარია, ყორანაშვილი და მახარაძე. მათ კანდიდატებათ: ჭრელაშვილი, მებურიშვილი, კაშია, ღლონტი და ჭულუხაძე. სარევიზიო კომისიაში: კეზელი, კოლელიშვილი, ვარლამიშვილი, ყანჩაველი და ჟურული. მათ კანდიდატებათ: ნასიძე და ლოსაბერიძე.

დასასრულ თავმჯდომარე მოუწოდებს ახლათ ამორჩეულ ცენტრალურ გამგეობას წმინდა პროფესიონალურ გზაზე დადგომას, ნაყოფიერ მუშაობას, და ყრილობის მუშაობას აცხადებს მოთავებულათ.

სარგისი.

საად.-მამულო რეფორმა

სუფსა (გურია). სუფსის რაიონში მიწების მიმღები კომისია 19 ივნისიდან შეუდგა მუშაობას, ჯერ ართმევენ მიწებს დიდ მემამულეებს. უწყებები ყველას დაგზავნილი აქვთ ან თვითონ მემამულეებს და ან მათ ვექილებს. საჭიროა დაესწრონ ხსენებული პირები, რათა ამორჩიონ მათდამი დასატოვებელ მიწების მდებარეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მამულები მაინც ჩამოერთმევათ. შემდეგ რიგში იქნება საგლეხო ბანკის, სათავად-აზნაურო, ანისიმოვის, კულჩიცკის, თაყაიშვილის, კ. ტუღუშის, პ. ჭანტურიას, სოფიო კომახიძის მამულები, ვინაიდან ბევრს ამ მამულებში აქვთ ნაყოფიერი მიწები, ვსთხოვთ ასეთ პირებს ჩამორთმევის დროს გამოცხადდენ. მამულებში კანონიერ საბუთებით, რათა ამოუჭრათ მათი საკუთრება ნაჭერი მიწები. სუფსის რაიონში ჩამოსართმევი მამულები აღემატება 100,000 დესეტინას, ამასათვის სამუშაო რთულია და ვთხოვ სოფლის მუშებს და ადგილობრივ მთავრობებს ხელი შეგვიწყოს რითაც შესაძლებელი იქნება.

მიმღებ კომისიის თავმჯდომარე
ბენიამენ კვაჭაძე.

ლია ბარათი—ძუთაისის გუბერნიის საადგილ-მამულო გამგეობის მიმართ.

წირქვალის საზოგადოებაში (ჭიათურის რაიონი) საფოსტო მიწების მიღების დროს მემამულეებმა აღძრეს კითხვა კომისიის წინაშე, თუ რა ბედი მოელის მათ უკვე ჩამორთმეული მიწებიდან წრევანდელი ღალების მხრივ. ჩემმა ამხანაგებმა გადაჭრით ვერა უპასუხეს-რა, მხოლოდ მიუთითეს დირექტივზე, რომლის ძალითაც დღიდან აქტების შედგენისა, საფოსტო მიწების ყველა მუშას ერთმევა ხელწერილი, რომ ამიერიდან მუშასა და მემამულეთა შორის დამოკიდებულება სწყდება და ესეთი დამოკიდებულება გადადის კომიტეტებზე. მემამულეებმა პრეტენზიები გამოსთქვეს, მეტადრე პურებზე და ქერებზე; დაჟინებით მოითხოვენ წრევანდელ ღალებს ყველა ჭრანახულიდან, განსაკუთრებით კი პურისა და ქერიდან, ვინაიდან ასეთები დაითესენ შემდეგზე, ე. ი. იმ დროს, როდესაც დეკრეტის მნიშვნელობის გათვალისწინება არც მუშას შეეძლო და არც მემამულეს; თანაც დასძენენ: რომ დეკრეტი გაგვითვალისწინებია, ჩვენი მიწების მცირედ ნაწილს მაინც ჩვენი შრომით დავიმუშავებდითო"; „დღეს, თუ რომ მიწებთან ერთად ღალებიც წაგვერთვა, ეს მოვლენა წინასწარ გაჰქრახ მკვლელობას მიებაძებაო". ამხანაგებმა გარკვეული პასუხი ვერ გასცეს, მხოლოდ აღუთქვეს, კითხვა როგორიც თავის შინაარსით პრინციპიალური, საგუბერნიო გამგეობის სხდომაზე დასმული იქნებაო. ჩვენში პური და ქერი უკვე საძაღლე შეიქნა (ზოგი მძვინვარე შიმშილის გამო მოუწიფელს მკის), ამისათვის ვთხოვ გუბერნიის გამგეობის წინაშე აღძრული საკითხი, როგორც პრინციპიალური, იქნეს დასმული საგანგებოთ მოწვეულ სხდომაზე, ვინაიდან იგი სასწრაფოთ გადაჭრას მოითხოვს. შემდეგ მოხდეს სათანადო განკარგულება.

ჯერ-ჯერობით მიწების საფონდოთ მიღება სიჩუმით ტარდება და სალამით უნდა მივიგებოთ, თუ ასე ბოლომდის დამთავრდა. ბეჭების ფურცლები მემამულეებს უკვე დაურიგდათ და გადასახადებსაც სიჩქარით მოითხოვენ.

მიმღებ კომისიის წევრი, წირქვალის საზოგ. რწმუნებული. **ის. ნადირაძე.**

ს.-დემ. პარტიაში

რკინის გზის სამმართველო 9 ივლისს შესდგა სამმართველოს პარტიულ წევრების კოლექტივის კრება. ამხ. ასათიანის თავმჯდომარეობით. სხდომაზე ფეხზე ადგომით პატივისცა რევოლიუციის მტრებთან დუშეთში და ლეჩხუმში დახოცილ ამხანაგების ხსოვნას.

სხდომამ მოისმინა ამხ. ს. ჩიკვაიძის მოხსენება შესახებ პარტიული გადასახადის შეგროვებისა. გამოირკვა, რომ პარტიის ყველა წევრებს, გარდა სტამბაში მომუშაეებისა გადაუხდიათ წლის ბოლომდე. გადაუხდელობის გამო გამორიცხულ იქმნა პარტიიდგან შარაშიძე.

შემდეგ მოისმენილ იქნა ამხ. ფერაძის მოხსენება შესახებ ჯამაგირების, ანგარიშების გასწორების და წითელ გვარდიელებისა რაც მიღებულ იქნა მხედველობაში.

ამხ. ლოგუას მოხსენებიდან სჩანს რომ სამმართველოს გვარდიელებს სამსახურის ვალდებულებების გამო არამც და არამც არ შეუძლიანთ დარჩენ გვარდიელებათ, რის გამოც, შცირე კამათის შემდეგ დადგენილ იქნა ეთხოვოს მთავარ კომიტეტს და შტაბს გვარდიელები უსათუოდ დაუბრუნონ თავ-თავიანთ მოვალეობებს.

ამხ. ხუხუნაიშვილმა წამოაყენა საკითხი, რომ ბევრი რევოლიუციის სანარგებლო ელემენტები დარჩენ შტატ ს გარეშე. გამოსთქვა რა მწუხარება ამის შესახებ, კოლექტივმა დაადგინა, რომ პირველ რიგში, როცა მიღება იქნება, ყურადგება მათ მიექცეს და სხვა მხრივაც, რითაც ძალგვიძს, მათ მდგომარეობა შეუმსუბუქდეს.

ადგილებიდან მოხსენებები ცხად ყოფს რევოლიუციის მტრების ამოქმედებას. ისინი ყოველ მხრივ ხიფათს უწყობენ საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას, ვის როგორც შეუძლია. დადგენილ იქმნა ყოველივე ზომები იქნას მიღებული ამის აღმოსაფხვრელად.

კოლექტივში შემოვიდა რამოდენიმე ამხანაგის განცხადება, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის რკ. გზის დაწესებულებებში ადმინისტრატიული ალაგები დაკავეს. ეს პარტიული ამხანაგები სურვილს აცხადებენ განსვენების ჯამი წინანდელ და ეხლანდელ ჯამაგირისა, ერთი თვის, ზოგმა ორისაც, გადასდონ რევოლიუციონურ ორგანიზაციების სასარგებლოთ, კოლექტივმა ასეთი ნაბიჯი ამხანაგებისა სასიამოვნოთ სცნო, და დაადგინა მადლობით აღინიშნონ ეს მოვლენაც და ისიც, თუ ვინმე ამხანაგებს წაბაძავენ. კოლექტივი ახლო მომავალში საჭიროების და გვარად გაანაწილებს ამ შემოსავალს პარტიულ ორგანიზაციებს შორის. გარჩეულ იქნა ეგრეთვე სხვა და სხვა მცირე ხარისხოვანი კითხვებიც.

მ. საქარელი.

პროვინცია

ზემო-ჩიბათი (გურია) კულტურულათ ზემო-ჩიბათი თანდათან წინ მიდის. აქაური მკვიდრნი სწავლა-განათლებას დიდ ყურადღებას აქცევენ და ნაკლებია ოჯახი, რომელიც თავის შვილს არ გზავნიდეს სწავლის გასაგრძელებლათ. აქაური ორკომპლექტიანი სკოლა გადაკეთებულ იქნა ოთხკომპლექტიანათ. დღეს აქ ოთხი მასწავლებელია. ამავე სასწავლებლის ზედამხედველის თაოსნობით მოეწყო ხელ საქმის განყოფილება, იმავე ზედამხედველს სურდა შკოლასთან დაეარსებინა სამეურნეო განყოფილება, რომელსაც ეყოლებოდა საკუთარი მასწავლებელი სახაზინო ჯამაგირით და რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანდა ამ კუთხეს, მაგრამ იმის ჯარში გაწვევამ ეს საქმე შეაფერხა.

აქ არსებობს ეგრეთვე სამეურნეო ამხანაგობა, რომელმაც ადგილობრივ მკვიდრთაგან შეიძინა რამოდენიმე ქცევა მიწა, სკოლის ეზოში დაამუშავა სანერგე მიწა, რაზედაც დარგეს: მანდარინის, ტყემლის, ვაშლის, მსხლის ნერგები და აგრეთვე 500 ძირამდე დამყნილი ვაზი.

ამხანაგობას აქვს თავისი საწარმოვო ქალაღდები, ბეჭედი, ჰყავს წევრები სხვადასხვა კუთხიდან, ააგო შენობა კრამიტის დასამზადებლად. ასე რომ, ამხანაგობას დიდი მომავალი აქვს და საჭიროა მივსცეთ დახმარება.

აქაური სამკითხველო მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. შენობა შენობას არ გავს, ჟურნალ-გაზეთებიც ნაკლებად მოსდის. საქმის გამოსასწორებლად საჭიროა ადგილობრივ ამხანაგებისაგან მეტი ენერგიის გამოჩენა, მეტი ორგანიზაციული მუშაობა და არა ძილი.

ჯ. კ. სიმონ ჯორბენაძე.

სოფ. საძარა. ძლიერ აღელვებული არიან მცხოვრებლები ეგრედწოდებულ ბალშევიკების შავრაზმული მოქმედებებით; მეტადრე საჩხერეში მომხდარ გამოსვლების გამო, რომელსაც, როგორც ტყეები გაძოგვცვმენ, ხელმძღვანელობენ ცნობილნი „სტრაჟნიკათ" ნამყოფნი ბიწვაძე და ქარქაშაძე. ტყეების ნაღაპარაკეყიდან სჩანს, რომ აჯანყებული ოსები, რომლებიც მომხრე არიან რომ მათ იარაღი აეყაროს, რადგანაც თვით ისინიც შეწუხებულნი არიან შეიარაღებულ ნაძირალების თარეშით.

დინჯაძე.

სოფ. კულაში. როდესაც ბათუმი დაეცა, ჯარის სხვადასხვა ნაწილები, რომლებმაც კი მოასწრეს გამოსვლა დაბანაკდენ სამტრედიის რაიონში. ერთი ნაწილი „ნესტრაევია როტა" თავის მრავალი სურსათით მოთავსდა კულაშის ნორმალურ და ქალთა სასწავლებლებში.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ, როგორც ქართველი ჯარი, რომლებშიაც ბევრი ერია აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლებიც, მოუვლიდენ საზოგადო დაწესებულებათა შენობებს. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა, დაბანაკებისთანავე ჯარისკაც. უნებლიეთ თუ დაუდევრობით გაუვარდათ ყუმბარა. გაიტანა იატაკი, ჩალეწა ფანჯრები და მიანგრმონგრია ყველაფერი. კიდევ კარგი, რომ ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ყველას მოეხერხებია გასწრება. ამ ამბავის გამო წარმომადგენლებმა გააფრთხილა ჯარის უფროსები. იმათაც შეპირდენ, რომ ყველაფერს შეავკეთებთ, ფანჯრებს ჩავსვამთ და შემდეგშით ასეთ რამეს ადგილი არ ექნებაო, მაგრამ ეს სიტყვები მხოლოდ სიტყვებათ დარჩა.

ჯარისკაცებმა მთლად გააფუჭეს სასწავლებლის ნივთები. მოწაფეების სტოლები სულ დალეწეს, როცა ფიცრები სჭირდებოდათ სტოლებს აგლეჯდენ. შეშა აუარებელი ჰქონდათ, მაგრამ ცეცხლი რომ დაენთოთ საჭმელის გასაკეთებლათ ახალ გაკეთებულ ღობეს ჩეხდენ. ჰიშკრები დაამსხვრიეს. კულტურულ მცენარეებზე ცხენები და ცხვრები მიუშვეს და ასე გააჩანაგეს ყოვლისფერი. თუ ვინმე რაიმე შენიშვნას მისცემდა, გულ მოსული ეტყოდენ: „ჩვენ პოზიციაზე ვკვდებით და თქვენ აქ დასეირნობთო" აგერ სწავლის დრო ახლოვდება და სასწავლებლები აქ კი მთლათ დალეწილია. საჭიროა შეკეთება, მაგრამ ვინ უნდა შეაკეთოს? დღეს მთავრობას ამისათვის ფული არა აქვს, ხოლო ბავშვების გარეთ დატოვება ყოვლად შეუწყნარებელია. საჭიროა ეხლავე მიექცეს სათანადო ყურადღება ამ გარემოებას, რომ მომავალ სამოსწავლო წელს სწავლა არ დაბრკოლდეს. ისევ ადგილობრივ ხალხმა უნდა იზრუნოს და აღძრან კითხვა ამის შესახებ, თორემ სხვისი იმედით საზრდოობა დღეს ყოვლად შეუძლებელია.

მიშა.

ჯოლევის საზოგადოება. (სამეგრელო. ოთხი თვეა, რაც სოფ. ჯოლევი გამოეყო აბედათს და საკუთარი სახელწოდებით იხსენიება მთავრობის მიერ. მაგრამ, გადადგმულ ნაბიჯს გამაგრება და განმტკიცება სჭირია. სოფელი შედარებით მდიდარია ინტელიგენტური ძალებით: აქ შეხვდებით სტუდენტობას, მასწავლებლებს, მოწაფეობას და სხვა მრავალი მოინტელიგენტო პირებს, მაგრამ ისინი სამწუხაროდ საზოგადოებას გაურბიან და სრულიად არ ცდილობენ რაიმე საზოგადოებრივ მუშაობაში მიიღონ მონაწილეობა. უკანასკნელ ხანებში აქ ძლიერ გახშირდა ქურდობა, დაცემა და სხვა ბოროტ-მოქმედება, რაც მოსვენებას არ აძლევს ადგილობრივ ადმინისტრაციას.

გასულ წელში აქ არსებობდა სოც. დ. მ. პარტიის (მენშევიკური) ორგანიზაცია, რომელიც დღეს უკვე დანგრეულია და ჩვენი ამხანაგები არცკი ლამობენ მის განახლებას. ამით მივმართავ და მოუწოდებ ამხანაგებს სისტემატიური მუშაობისაკენ, ახსოვდეთ, რომ ბევრი რამ დაგრჩენიათ გასაკეთებელი სამშობლო სოფელში.

მანქანა.

წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! როგორც ბათუმის ქართულმა ნაციონალურმა საბჭომ გაიგო, იქ მცხოვრებ იოსებ ნაკაშიძეს და მის მეუღლეს, ზოგიერთი ქართული საზოგადოების წრეები და განსაკუთრებით გურიაში ბრალს სდებენ ოსმალების დახმარებაში სამშობლოსადმი მტრულ განწყობილებაში.

ასეთი საშინელი ბრალდება, იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელნიც არამც თუ დამნაშავენი არიან პირიქით, დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველების წინაშე, უნდა მივაწეროთ რაღაც გაუგებრობას.

ქართული ნაციონალური საბჭო თავის მოვალეობათ სთვლის კატეგორიულათ განაცხადოს, რომ ნაკაშიძეები იყვნენ იმ მოქალაქეთა რიცხვში, რომლებსაც ისე ეჭირათ თავი, როგორც შეფერის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ. მათ თავი არ დაუხრიათ ახალი ბატონის წინაშე, როგორც ბევრმა ჩაიდინა.

ეროვნული საბჭო, როგორც მისი წევრი და ქალაქის ხმოსანი, კარგათ ხედავდა როგორ დაუზარებლათ მუშაობდა იოსები თავისი ცოლით ნინა დ. კიკნაძესთან ერთად უვლიდა ტყვეებს და თავგამოდებით შრომობდა მათთვის. საუკეთესო ჯილდო მათთვის იყო ის, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ტყვეები ტირილით ემშვიდობებოდენ მათ.

არამც თუ ასეთი საშინელი ბრალდება, პირიქით, უღრმესი მადლობა უნდა გამოუცხადოს ქართველ საზოგადოებამ ამ სამ მუშაკთ, რომლებმაც არა ერთსა და ათას შეარჩინეს სიცოცხლე.

ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც, ეს წერილი გადაბეჭდონ.

ბათუმის ქართ.ეროვ. საბჭო.

ამხ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქ. გაგრის თანამოაზრე ამხანაგებს, რომლებმაც მეტად დიდი დახმარება გაუწიეს თფილისის მ. და ჯ. დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტის საგანგებო რაზმის წევრებს, როცა ეს უკანასკნელები ბალშევიკების მიერ დატყვევებული გაგრის სატუსაღოში იმყოფებოდენ და საშინელ შევიწროებას განიცდიდენ, როგორც საჭელ-სასმლის, ისე ტანისამოსის უქონლობის გამო, რაც ბალშევიკებმა წაართვეს. დაუფასებელია გაგრის ამხანაგების ღვაწლი საგანგებო რაზმისადმი და ასეთ ამაგს არასოდეს არ დაივიწყებს როგორც ეს რაზმი, ისე რევოლიუციონური ჩვენი დემოკრატია.

საგანგებო რაზმი.

დაღუპულ წითელ გვარდიელების ოჯახების სასარგებლოთ შეაგროვა პარტიულ ბეჭედ დაკრული ფურცლებით მე-4 რაიონის ქალთა ორგანიზაციამ: ამხ. შერაძემ 159 მ. 95 კ., ზაზიაშვილმა 270 მან. 65 კ., ივანიძისამ 63 მ. 30 კ., ჩიხლაძისამ 98 მ., კიკვაძისამ 205 მ. 95 კ., ან. კიკნაძემ 120 მ. 40 კ., ხუცურვამა 52 მ. 80 კ., ფ. ბერეჟიანმა 246 მ., მელიქოვმა 423 მ. 50 კ., ჯიაძისამ შეაგროვა თფილისის სადგურის საქონლის მუშებში 117 მ 30 კ. სულ ჯამი 1757 85 კაპ., რისთვისაც შემომწირველთ ქალთა ორგანიზაცია უღრმეს მადლობას უცხადებს. ეს ფული გადაეცა მეოთხე რაიონის ს. დ. კოლექტივს.

ფინანსიური კომისიის თავმჯდომარე **ვ. კიკვაძისა,** ხაზინადარი **ხ. ივანიძისა.**

ცნობები

დაგვეკარგა ჯარისკაცი ისიდორე ლევანტის ძე ჭანუყვაძე ვაზნარში შეტაკების დროს არ ჩანა მისი არაფერი. თუ ვინმემ იცით რაიმე, გთხოვთ აცნობოთ ოზურგეთში პელაგია ნიკონორის ასულ ჭანუყვაძეს. ისიდორე იმყოფებოდა მე-13 როტაში.

მუშათა კლუბში

დღეს 11 ივლისს წარმოდგენილი იქნება

გამცემი

დრამა 3 მოქმედებად ი. გედევანიშვილისა. მონაწილეობენ: ქ-ნი ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, ნინოშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ. ბ. მეტრეველი, მინდიაშვილი, სალაყაია, შანშიაშვილი და ჭანკვეტაძე.

რეჟისორი შათირიშვილი.

დაიწყება სწორეთ 8 საათზე.

ანტრაქტებში დაუკრავს **საზანდარი.**

(1—1)

საჩქაროთ

იყიდება სასადილო **„ერზერუმი"** ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ. რაზიეზდის ქუჩა № 11. ნახვა შეიძლება ყოველ დღე.

(1—1)

დავკარგე ს. ბანძიდან—ს. ბომბოთამდე 12 ივნისს სამხედრო თავის უფლების 3 მოწმობა, ორი სენაკის სამხედრო საკრებულოს მიერ მოცემული (1916 წლის 19 სექტემბერს და 1918 წლის 5 ივნისს) ხოლო მესამე თფილისის საკრებულოსაგან. ამასთანავე კომისარისაგან მოცემული ორი მოწმობა, იარაღის ტარების ნებართვა და სხვა დოკუმენტები სევერიანე ფირცხალავას სახელზე. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ნაოღალევი, ლუკა დონდუას. სევერიანე ფირცხალავასათვის, რაზედაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. (1—1)

ამ ერთი კვირის უკან **დავკარგე** პასპორტი მოცემული ჩოხატაურის კომისარიატისაგან და სამხედრო თავისუფლების მოწმობა, მოცემული ოზურგეთის საკრებულოს მიერ. ამოწერილი ქრისტიფორე დავითის ძე ძნელაძის სახელზე. დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ზემოხსენებული დოკუმენტები ითვლება გაუქმებულად. (1—1)

დავკარგე ბათუმის განყოფილების სახელმწიფო ბანკის წიგნაკი 3800 მანეთის და აგრეთვე პასპორტი ამოწერილი ნესტორ მოსეს ძე ჭორჭილავას სახელზე. დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ზემოხსენებული დოკუმენტები ითვლება გაუქმებულად. (1—1)

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი პეტერბურგის უნივერსიტეტის შინაგან სნებავის, ბავშვის და საშვილოსნო სენეულებათა ავადმყოფებს იღებს ყოველდღე შაბათის 12—2 დღე საღამოს 4—5 საათ. **უფასოთ** იღებს ყოველ-დღე დილ. 7—8 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმსონიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი.
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ. —10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი
მიიღება კანის, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

ექიმი ა. დ. ციციშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8 —9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

ექიმი ვ. კლდიაშვილი.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

ექ. ძალი ნ. ბ. შიშლო-საბაშვილისა
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ-დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 32. ტელ. № 9—26.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა **შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს საღოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, საზ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

გაიხსნა თვალის სამკურნალო
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისტენტის
ექიმ დონხინისა.
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილით 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

შაქარი

ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეების შაქრის გაყიდვა ქალაქის დუქნებში დაიწყება ამა წ. 8 ივლისიდან დანარჩენ ადგილებში 15 ივლისამდე შაქარი მიეცემათ ყველა იმათ, ვისაც ჯერ კიდევ ივნისის წილი არ მიუღიათ. მსურველთ ნება აქვთ სამი თვის შაქარი წინდაწინ ერთბაშათ გამოიტანონ. შაქარი გაიყიდება ამა წლის 5 ივლისს ქამგეობისაგან დაწესებულ ნიხრის თანახმათ:

შაქარი რაფინადი . . . . 1 მ. 50 კ. გირვ.
შაქარი ფხვნილი . . . . 1 „ 42 „ „

ვისაც ივნისის თვის შაქარი ჯერ კიდევ არ მიუღია, მას შეუძლია 15 ივლისამდე შაქარი ძველი ნიხრის თანახმათ მიიღოს. (3—3)

მოითხოვეთ სამკურნალო ბორჯომის წყალი

ერთად-ერთი წარმომადგენელი მიწათმოქმედების სამინისტროსი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ („პარტიობით") მყიდველებს, რომ ფასდადებით და ნისიათ წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივ მოწოდება უზრუნველყოფილია.

მისამართი: ბორჯომის კანტორა, „ბორჯომექსპორტი". (15—9)

თფილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება

სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებასთან (მიხეილის პრ. № 91) იხსნება 3 თვიური პროფესიონალურ კავშირების საქმეთა შესასწავლი

კურსები

მეცადინეობა საღამოთი; სამჯერ კვირაში მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. გადასახადი კურსისა—25 მან. მეცადინეობა დაიწყება—მიმდინარე წლის 5 ივლისიდან. ჩაწერა შეიძლება სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მიხეილის პროსპ. № 91) დილ. 10—2 საათ. და საღ. 5—9 საათ., აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში (პეტრე დიდის ქ. № 18, ოთახი 26) დილის 11—2 საათ. და საღ. 6—8 საათ.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.